# გილოცავთ დამდეგ 2022 წელს!



# საგარეჯოს მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №23-24(253-254) 2021 წ. 1-31 დეკემბერი ფასი 2 ლარი

## ჩვენს საგარეჯოელებს და სრულიად საქართველოს ვულოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!



**დიდი** პატივია, რომ მომეცა საშუალება და წელს პირველად, ასე საჯაროდ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის რანგში, მშობლიური ქალაქისა და თანამემამულეების მიმართ გამოვხატავ მადლიერებასა და სიყვარულს.

მე ვისურვებდი, რომ დასახული მიზნები, როგორც რიგითი მოქალაქის და შემდეგ, როგორც თვითმმართველობის წარმომადგენლის - განმეხორციელებინოს და თითოეული ოჯახის კეთილდღეობის თანამონაწილე გავმხდარიყავი;

პანდემიის პირობებში, მოკრძალებულად, მაგრამ ამაღლებული განწყობით ვეგებებით ახალ, 2022 წელს, დიდი იმედებითა და მოლოდინებით, რომ მომდევნო წლები უკეთესობისკენ შეცვლის ჩვენი მოქალაქეების ყოფა-ცხოვრებას.

ჩემო გარეჯელებო, კიდევ ერთხელ და მრავალგზის - მადლობა ნდობისთვის, მხარდაჭერისთვის!

ჩემს გუნდთან ერთად, მაქსიმალური ძალისხმევით, დაუღალავი შრომით აუცილებლად შევცვლით საგარეჯოს მომავალს უკეთესობისკენ.

გილოცავთ, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, ხვავი და ბარაქა არ მოკლებოდეს ჩვენს ოჯახებს!

***პატივისცემით,***

*ავთანდილ გულიკაშვილი*

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი***



**ჩვენო** გარეჯელებო, გილოცავთ დამდეგ ახალ წელს. მშვიდობა, სიკეთე, სიხარული, ოჯახური ბედნიერება, წარმატებები მოეტანოს საქართველოს, ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული მოქალაქისთვის, ფეხბედნიერი იყოს წელი ახალი. ერთად გვეშრომოს ჩვენი მუნიციპალიტეტის გამშვენიერებისათვის

*ალექსი გილაშვილი,*

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე***

## მილოცვა

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რჩეულს, ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს*** **ავთანდილ გულიკაშვილს** ვულოცავთ ხალხის ნდობის მანდატის მიღებას და დამდეგ ახალ წელს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, წინსვლას, წარმატებებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შემდგომი ეკონომიკური ძლიერებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში, პირად ბედნიერებას!

*აიპ „ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლის“*

*დირექციის თანამშრომლები*





# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახალი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებზე



**3 დეკემბერს** ჩატარდა 2021 წლის მოწვევის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა.

სხდომის გახსნის შემდეგ დამსწრე დეპუტატებმა მოისმინეს №11 საგარეჯოს საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ მღებრიშვილის მოხსენება 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" და სხვა პარტიების მიერ მოპოვებული მანდატების შესახებ.

მოხსენების შემდგომ დეპუტატებმა და სხვა დამსწრე პირებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ბათუმის საკრებულოს ნაცმოძრაობის წევრის ხსოვნას და დაამტკიცეს პირველი სხდომის დღის წესრიგი. სხდომამ საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიისა და ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შემდეგ ცნობად მიიღო 2021 წლის მოწვევის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილებისა და 2017 წლის მოწვევის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

ახლადარჩეულმა საკრებულოს წევრებმა კენჭი უყარეს და ცნობად მიიღეს 2021 წლის მოწვევის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას და 2017 წლის მოწვევის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების შეწყვეტას.

სხდომამ უფლებამოსილება შეუწყვიტა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ოთარ ჩალათაშვილს, მის მოადგილე ლელა მარიდაშვილს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ უსტიაშვილს, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ელენე სამხთუაშვილს, სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე თამაზ ურდულაშვილს, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ივანე ივანიშვილს, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გივი ბედიაშვილს.

უფლებამოსილება შეუწყდათ ფრაქციების: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ელდარ მეფარიძეს, და მის მოადგილეებს ივანე ბეჟიაშვილს და აიაზ ბაირამოვს, „ქართული ოცნება-თანადგომის" თავმჯდომარე ალექსანდრე მეზვრიშვილს, მის მოადგილე გიორგი მუჩიაშვილს, ფრაქცია „გარეჯელების" თავმჯდომარე ნიკო ნახუცრიშვილს, მოადგილე თენგიზ ძირკველიშვილს, ფრაქცია „ქართული ოცნება სოფლის განვითარებისათვის" თავმჯდომარე დავით თათრიშვილს და მის მოადგილე ზურაბ ჭიკაძეს.

საკრებულოს ახალი ფრაქციების დაკომპლექტების ცნობად მიღებისა და მათი შემადგენლობის არჩევის შემდეგ, განისაზღვრა საკრებულს კომისიების წევრთა რაოდენობა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები.

საკრებულომ დააფუძნა ახალი ფრაქციები: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" (თავმჯდ. ივანე ბეჟიაშვილი) და „ნაციონალები" (თავმჯდომარე გარსევან ბუხნიკაშვილი).

დროებითი 30 წუთიანი შესვენების შემდეგ დღის წესრიგის 25-ე უმთავრესი საკითხის „ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ" განხილვაში ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებმა მონაწილეობა არ მიიღეს და დატოვეს სხდომათა დარბაზი.

ამის მიუხედავად, საკრებულოს წევრებმა, არსებული წესების სრული დაცვით ერთხმად აირჩიეს ***საკრებულოს ახალი თავმჯდომარე* ალექსი გილაშვილი.** ამ გამოცხადებული ნდობისათვის მან დიდი მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს და აღუთქვათ, რომ მათთან ერთად თავის შესაძლებლობებს არ დაიშურებს იმ გამოწვევათა სრულყოფილად გადაწყვეტისათვის, რაც მათ ერთობლივად ელით მომავალი 4 წლის მანძილზე მუნიციპალიტეტის ეკონომიკური გაძლიერებისა და მისი მოსახლეობის წინსვლის საქმეში.

ამის შემდეგ ალექსი გილაშვილმა სხდომას წარუდგინა და დაამტკიცეს მისი მოადგილეები: ***საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ*** – ქ-ნი **ლელა მარიდაშვილი**, რომელსაც წინა მოწვევის დროსაც ეს თანამდებობა ეკავა, ***მოადგილეებად*** დეპუტატები **ვეფხია (გოჩა) ჩერქეზიშვილი და ალექსი იოსელიანი**.

საკრებულოს ახალი თავმჯდომარის წადგინებით საკრებულომ ცნობად მიიღო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა, საფინანსო-საბიუჯეტო, სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა, ეკონომიკისა და ქონების მართვის,, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიების პერსონალური შემადგენლობის შესახებ.

სხდომამ ***საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ*** აირჩია დეპუტატი **ივანე ანუაშვილი**, ***საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ* – ელენე სამხთუაშვილი**, ***სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ* – ვეფხია უსტიაშვილი, *ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარედ* არჩილ ნემსიაშვილი**, ***სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ* ლევან როსტიაშვილი**.

2021 წლის მოწვევის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 3 დეკემბრის პირველ სხდომას ესწრებოდა: ***მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული მერი* ავთანდილ გულიკაშვილი**, რომელმაც მიულოცა ახლადარჩეულ საკრებულოს შემადგენლობასა და მის ხელმძღვანელებს ეს საპატიო და საპასუხისმგებლო მისია და იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივი მუშაობით შეძლებენ იმ იმედების და ნდობის გამართლებას, რაც მათ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებმა გამოუცხადეს 2021 წლის არჩევნებში.

*გივი დაბახიშვილი*

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

**7 დეკემბერი, 2021 წელი**



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის ტრადიციულ სამშაბათის თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის მერი* ავთანდილ გულიკაშვილი** უძღვებოდა. თათბირს ***მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე* გიორგი ლალიაშვილი**, მერიის ***ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი* ბექა ფეიქრიშვილი, *მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი* გიორგი ქურდოვანიძე**, აღნიშნული სამსახურების თანამშრომლები, ***მერის წარმომადგენლებთან თემებსა და სოფლებში მუშაობის განყოფილების გამგე* ივანე ფანოზიშვილი**, მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში მერის წარმომადგენლები, აიპ „საგარეჯოს სასმელი წყლების რეგულირებისა და ხარისხის კვლევითი ცენტრის" დირექტორი ოთარ ბუზარიაშვილი, შპს „საგარეჯოს" დირექტორი თამაზ კუჭუაშვილი, მერის მრჩეველი მუნიციპალიტეტის ქონების საკითხებში გიორგი ესაიაშვილი ესწრებოდნენ. თათბირზე მოწვეული იყო შპს „სხივის" ტექნიკური მენეჯერი ივანე ყანდინაშვილი, რომელმაც მერის წარმომადგენლების მიერ გარეგანათებასთან დაკავშირებულ საკითხებს უპასუხა.

თათბირზე დიდი დრო დაეთმო მუნიციპალიტეტში შემავალ თითოეულ სოფელში არსებული პრობლემების წარმოჩენასა და ამავე პრობლემების მოგვარების გზების დასახვას.

**გომბორის თემში** მერის წარმომადგენლის ***ზაზა ხიზანიშვილის*** მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით თემში შემავალი სოფლებიდან ჯერჯერობით გაზიფიცირების გარეშე რჩება სოფლები რუსიანი და ვაშლიანი, მაგრამ როგორც მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, გომბორის თემში შემავალი აღნიშნული სოფლის გაზიფიცირების პროექტსაც შეისყიდიან და არც მასში მცხოვრები ადამიანები დარჩებიან ბუნებრივი აირით სარგებლობის გარეშე. აქვე დაისახა გზა იმ მოსახლის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შესახებ, რომელიც დღეს ავარიულ შენობაში ცხოვრობს.

**კოჭბანის** თემში მერის წარმომადგენლის ***გელა ხოშარაულის*** მიერ გაკეთებული ინფორმაციის მიხედვით, თემში შემავალ სოფლებში ნელ-ნელა გვარდება სასმელი წყლის მოსახლეობისათვის მიწოდების პრობლემა. მერის მოადგილემ გიორგი ლალიაშვილმა აიპ „სასმელი წყლის რეგულირებისა და ხარისხის მართვის ცენტრის" დირექტორს სთხოვა, ყურადღებით და მთელი პასუხისმგებლობით მოეპყრან სასმელი წყლების მიწოდებისა და დაქსელვის, ინდივიდუალური ონკანების საკითხს. თანხა, რომელიც იხარჯება სასმელი ქსელის სარეაბილიტაციოდ და ახალი ქსელების დასაქსელად, მიმართული იყოს თითოეული მოსახლის კეთილდღეობისაკენ, სოფლის არც ერთი მოსახლე არ უნდა იყოს სასმელი წყლის მიწოდების გარეშე დარჩენილი, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინონ სოფელში ძირითადად მცხოვრებ ოჯახებზე. ამასთან ვიზრუნოთ, რომ ყოველ სოფელში გვქონდეს სასმელი წყლებით დარეგულირებული მომარაგება, რაც გვიადვილებს მოსახლეობის სასმელი წყლით გრაფიკით მომარაგებას და თავიდან აგვარიდებს თუნდაც ერთი მოსახლის უწყლოდ დარჩენის საკითხს.

**უჯარმის** თემში მერის წარმომადგენელმა ***დავით აბელაშვილმა*** ის პრობლემური საკითხი დააყენა, რომელიც მოუგვარებლობის შემთხვევაში ყინვების დაწყებისას გამოიწვევს ავტოტრანსპორტის მოძრაობის გართულებას. კონკრეტულად, სოფელ მუხროვანის შესასვლელთან დაზიანებულია სარწყავი წყლის გამტარი არხი, წყალი იღვრება ავტომაგისტრალზე. აღნიშნული საკითხი ეცნობება მელიორაციის და სარწყავი სისტემის ქვემო სამგორის საგარეჯოს სამმართველოს ხელმძღვანელობას და საკითხი მოგვარდება. დავით აბელაშვილმა აქვე დააყენა სოფელში კიდევ რამდენიმე საჭირო სანათის დაყენების საკითხი, რომელიც მომავალ წელს განხორციელდება.

**ხაშმში** მერის წარმომადგენლის ***ზურაბ ყირმელაშვილის*** მიერ მოსმენილი იქნა სოფელში პროექტების მიმდინარეობის მდგომარეობა. როგორც გიორგი ლალიაშვილმა აღნიშნა, ხაშმის საბავშვო ბაღში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გასაგრძელებლად საჭირო გახდა სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ცენტრის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა, რადგან ბაღის შენობის ბზარები სიცოცხლისათვის საშიშროებას შექმნის მომავალში. როცა საქმე ბავშვების სიცოცხლეს და მათ ჯანმრთელობას ეხება, ვერ გავრისკავთ და ბაღის შენობის ბზარებს უგულისყუროდ ვერ დავტოვებთ.

**პატარძეულში** მერის წარმომადგენლის ***გიორგი ჭინჭარაძის*** მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია შეეხო იმ ორი ჭაბურღილის მდგომარეობას, რომელიც სოფლის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ ჭაბურღილიდან მოპოვებული წყალი ტექნიკური დანიშნულებითაც არ გამოდგება, არადა, ამ ჭაბურღილების დადგმას თავად მოსახლეობა მოითხოვდა და მათთან ურთიერთშეთანხმებით მოხდა მათი საექსპლოატაციოდ გაშვება. აქვე აღინიშნა, რომ სოფლის შემოსასვლელში ინგრევა დეკორატიული კედელი, რომელიც რეაბილიტაციას ითხოვს. ასევე, ყურადსაღებია ძველი ნაგავსაყრელის მდგომარეობა, სადაც სოფლის აქაური მცხოვრებლებისგან დაყრილი ინერტული მასალა არაერთხელ ჩაიმარხა... სოფელში ზოგიერთ უბანში დასამთავრებელია ღამის სანათების დაყენება.

სოფელ **წყაროსთავში** მერის წარმომადგენლის ***გიორგი კერატიშვილის*** მიერ კიდევ ერთხელ დაისვა საკითხი სოფლის ერთ-ერთ უბანში სასმელი წყლის მილების ჩაწყობისა და იქაური მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდების შესახებ. ამას-

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

**დასასრული**

თან, სანათებია დასაყენებელი სოფლის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიამდე მისავლელ გზაზე, რომელსაც „ეკლესიის უბანს“ ეძახის აქაური მოსახლეობა. მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის თქმით, აუცილებელია ამ უბანში სანათების დაყენება, რასაც უახლოეს ხანში თავად გააკონტროლებს.

მერის წარმომადგენელმა სოფელ **ნინოწმინდაში** ***თამარ გარსევანიძემ*** ითხოვა, ახლადაშენებული სპორტული დარბაზის შენობის სასაფლაოსგან გასამიჯნად აუცილებელი ხდება ღობის გაკეთება. ასევე, ყურადსაღებია ის, რომ თბილისი-ბაკურციხის ნინოწმინდის მონაკვეთზე, გზაჯვარედინზე წყალსაწრეტიდან დაღვრილი წყალი ყინვების შემთხვევაში საშიშროებას შეუქმნის ავტოტრანსპორტს.

**გიორგიწმინდის** თემში მერის წარმომადგენელმა ***გიორგი ჭიაბერაშვილმა*** მძიმე ტექნიკა ითხოვა იმ გზის მოსაწესრიგებლად, რომლის კეთილმოწყობას გიორგიწმინდაში წმინდა ბერი გაბრიელის სახელობის ტაძრის აღმშენებელი ქართველი მფრინავი სოლომონ გორელაშვილი ბეტონის საფარით აკეთებს.

**თოხლიაურის** ტერიტორიულ ორგანოში მერის წარმომადგენლის ***მზია ჭყრუნიშვილის*** ინფორმაციით, სოფლის მოსახლეობა კვლავ წყლის ნაკლებობას განიცდის, მოსახლეობას სოფლის გარედან მანქანებით მოაქვს წყალი. მან თათბირის მონაწილეთ გაახსენათ, რომ 2 წლის წინ სოფლის ე.წ. „გაღმაუბანში“ მოსახლე 41 ოჯახს სამართლიანი პრეტენზია ჰქონდა სასმელი წყლის მილების განაწილებაზე. აქვე ითხოვა, მეტი ყურადღება მივაქციოთ ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებიც ძირითადად სოფელში ცხოვრობენ და უპირატესობას ნუ მივანიჭებთ სეზონურად მოსახლეებს, რომლებიც უფრო მეტ პრეტენზიებს გამოთქვამენ და რიგ შემთხვევაში არც ანგარიშს უწევენ ადგილობრივ მოსახლეობას – სასმელ წყალს ბაღების მოსარწყავად იყენებენ, რაც შემდეგში სასმელი წყლის დეფიციტს ქმნის. მისივე ინფორმაციით, გაჭიანურებულად მიმდინარეობს საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლებიც ამასწინათ არასწორად ჩატარდა. როგორც გიორგი ლალიაშვილმა განმარტა, საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები გამოიწვია არასწორად აგებულმა კედელმა, რომელიც დაინგრა რეაბილიტაციის დროს. თათ-

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

**7 დეკემბერი, 2021 წელი**

ბირზე მზია ჭყრუნიშვილის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას დაემატა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სოფელში 15 სანათი კიდევ საჭიროა და ამასთან, ზოგან სანათები არ ფუნქციონირებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შპს „სხივის“ ტექნიკური მენეჯერის ივანე ყანდინაშვილის განცხადებით, „ენერგო-პრო-ჯორჯია“ვალდებულია დროულად გააკეთოს აღრიცხვის კალათები, რის გამოც სანათები დღემდე გამორთულია.

**მანავის** თემის მუნიციპალიტეტის მერის ყოფილმა წარმომადგენელმა (ამჟერად მანავისა და დიდი ჩაილურის მაჟორიტარი დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში) ***არჩილ ნემსიაშვილმა*** მანავის რამდენიმე უბანში სანათების დაყენება მოითხოვა.

მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების **დიდსა და პატარა ჩაილურში** ***ნოდარ როსტიაშვილისა და არჩილ ყავრიშვილის*** ინფორმაციებით სოფლების მოსახლეობა სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის.

მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის სოფელ **ვერხვიანში** ***ნოდარ ბეგიაშვილის*** მიერ დაყენებულ იქნა საკითხი, რომელიც სოფლის მოსახლეობას წელიწადნახევარია აწუხებს, კონკრეტულად, დღიდან პანდემიის დაწყებიდან, სოფლის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული საექიმო კაბინეტში მომსახურება არ გაუწევია აქაური მოსახლეობისთვის ოჯახის ექიმს. ნოდარ ბეგიაშვილმა კიდევ ერთხელ დააყენა საკითხი მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საკითხში არსებული პრობლემები და ითხოვა, უახლოეს მომავალში როგორმე მოგვარდეს ეს საკითხი, ასევე, შეახსენათ, რომ საბავშვო ბაღის ეზო მოსაწესრიგებელია.

მერის წარმომადგენლის სოფელ **პაპაზეთში** ***ვეფხია ნანუაშვილის*** მიერ დაყენებულ საკითხებს შორის მნიშვნელოვანი იყო ორივე საბავშვო ბაღებისათვის სასმელი წყლის დეფიციტური მდგომარეობა, რაზედაც თათბირზე მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის მიერ წარმოდგენილი იყო პრობლემის მოგვარების გზა – ორივე საბავშვო ბაღებისათვის აუცილებელი ხდება ამქაჩი ძრავების შესყიდვა.

***კახაბერ ჩალათაშვილის*** – მერის წარმომადგენლის სოფელ **ბადიაურში** ინფორმაციით სოფლის მოსახლეობას სასმელი წყალი დუზაგრამიდან მიეწოდება, ხშირად ზიანდება ტრანსფორმატორი, რაც იწვევს სოფლის მოსახლეობის სასმელი წყლის გარეშე დარჩენას. ტრანსფორმატორის აღსადგენად კი ხდება გზების ძიება და ხშირად საკუთარი ხელებით უხდებათ მისი აღდგენა, ამიტომ საჭირო ხდება აღნიშნული ტრანსფორმატორი მოვლა-პატრონობისათვის „ენერგო-პრო-ჯორჯიას“ გადაეცეს. კახაბერ ჩალათაშვილის თქმით, საჯარო სკოლის მოსწავლეებს და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს საშიშროებას ქუჩის მაწანწალა ძაღლები უქმნიან, რომლებიც მომრავლდნენ სოფელში. მანვე ითხოვა მძიმე ტექნიკა მინდვრის სავარგულებსა და ვენახებში მიმავალი გზების მოსაწესრიგებლად, რომლის მოწესრიგება დღის წესრიგში სავარგულების დამუშავების სეზონმა მოითხოვა.

**ყანდაურის** თემში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ***ვალერი ცანკაშვილის*** მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ერთობ შემაშფოთებელი აღმოჩნდა თათბირის მონაწილეთათვის – ზემო ყანდაურაში უმოწყალოდ იჩეხება მუხის კორომები და მის ადგილას სახნავ-სათეს ადგილებს დაუკითხავად ისაკუთრებენ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, რომელთაც ავტომანქანებით მისასვლელი გზების გასაფართოვებლად ირგვლივ სხვა ხეების მოჭრაც დაიწყეს. რაც შეეხება საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ის კარგად მიმდინარეობს და მოსახლეობამ მადლობაც შემოუთვალა მუნიციპალიტეტის მერს. რაც მთავარია, სოფელში დამთავრდა სასმელი წყლის მილებით უბნების დაქსელვის სამუშაოები.

მუხის ხეების უკანონო ჭრის შესახებ ინფორმაცია კვლავ გააკეთა ასევე თოხლიაურში მერის წარმომადგენელმა მზია ჭყრუნიშვილმა. როგორც მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ გულიკაშვილმა გულისტკივილით აღნიშნა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ჯერჯერობით არავითარი ბერკეტი არ გააჩნია უკანონო ჭრების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ამას ცოტა ხანში გაარკვევენ – მიიღებენ სათანადო ღონისძიებებს და ზომებს.

***მიხეილ ობოლაშვილმა*** – მერის წარმომადგენელმა სოფელ **მზისგულში** კიდევ ერთხელ ითხოვა სოფლის სასმელი წყლის მილებით დაქსელვა, რადგან სოფელს სასმელი წყალი მიეწოდება, რომელიც ყველა მოსახლემდე უნდა მივიდეს. მანვე ითხოვა მუნიციპალიტეტის აღმოსავლეთ ზონაში „სათნოების სახლის“ გახსნა მზრუნველობამოკლებული ადამიანებისათვის.

**სათაფლეში**, ე.წ. „პასიოლკას“ დასახლებაში სულ მცირე ხანია სანათია დასამატებელი, ამ დღეებში ნაგავსაყრელების „დამალვა“ მოვახერხეთ, წყლის შემკრები, რომელიც წყალს ატარებს და ჩვენი სოფლის და უდაბნოს მოსახლეობას მიეწოდება, წლებია არ გაწმენდილა. წყალს უნებურად შიგ ტალახი შეაქვს. მისი გაწმენდა კი აუცილებელია. სოფელში შიდა გზები მოვხრეშეთ, – განაცხადა მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა **სათაფლეში** ***ემზარ გორგილაძემ.***

***ბესიკ გვიდანის***, სოფელ **უდაბნოში** მერის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სოფელში კეთდება დარბაზი.

რაც შეეხება ეთნიკურად აზერბაიჯანელებით დასახლებული თემის მერის წარმომადგენლებმა **იორმუღანლოში** – ***ნათიკ რასულოვის,*** **დუზაგრამაში** – ***მუხტარ ისმაილოვის,*** **ლამბალოში** – ***ალახიარ აბდულაევის***, **თულარში** – ***ქამილ ნასიბოვის*** მიერ წარმოდგენილი ინფორმაციებით გაირკვა, რომ იორმუღანლოს თემის სოფლებში ელექტროენერგიის ძაბვა იმდენად დაბალია, რომ ერთ უბანში ნათურები მხლოდ ბჟუტავს (ივანე ყანდინაშვილის რჩევით, ასეთ დროს საკმარისია ცხელ ხაზთან დაკავშირება), ლამბალოს თემში შემავალ სოფელ ზემო ლამბალოს მოსახლეობა იქ არსებულ სასმელი წყლის ჭაბურღილიდან მარაგდება. რაც შეეხება ქვემო ლამბალოს, აქ არ არსებობს სასმელი წყლის ჭაბურღილი, რის გამოც მოსახლეობა განიცდის სასმელი წყლის დეფიციტს.

მერის წარმომადგენელმა სოფელ **შიბლიანში** ***ბესიკ გელიკოშვილმა*** გააკეთა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სოფელში არსებული სასმელი წყლის 4 ჭაბურღილიდან 2 კომუნისტების დროსაა გაკეთებული, ამიტომ ჭაბურღილი და ქსელიც გასაწმენდია, სოფელში საჭიროა ხუთი ერთეული სანათი, ნაგვის ურნები – 5-6 ერთეული.

თათბირზე დაისახა ღონისძიებები თათბირზე წამოჭრილი პრობლემების წლის ბოლომდე მოსაგვარებლად.

## „ინფრასტრუქტურა-2021“











# 2022 წელი

## იანვარი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| სამშაბათი | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ოთხშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| ხუთშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| პარასკევი | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| შაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |
| კვირა | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | |

## თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| სამშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | |
| ოთხშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | |
| ხუთშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | |
| პარასკევი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შაბათი | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კვირა | 6 | 13 | 20 | 27 | |

## მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| სამშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ოთხშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ხუთშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| პარასკევი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შაბათი | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კვირა | 6 | 13 | 20 | 27 | |

## აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 4 | 11 | 18 | 25 |
| სამშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ოთხშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ხუთშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| პარასკევი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| შაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| კვირა | 3 | 10 | 17 | 24 | |

## მაისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამშაბათი | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ოთხშაბათი | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხუთშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პარასკევი | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კვირა | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

## ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| სამშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ოთხშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხუთშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| პარასკევი | 3 | 10 | 17 | 24 | |
| შაბათი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კვირა | 5 | 12 | 19 | 26 | |

## ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 4 | 11 | 18 | 25 |
| სამშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ოთხშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ხუთშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| პარასკევი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| შაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| კვირა | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |

## აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| სამშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ოთხშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ხუთშაბათი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| პარასკევი | 5 | 12 | 19 | 26 | |
| შაბათი | 6 | 13 | 20 | 27 | |
| კვირა | 7 | 14 | 21 | 28 | |

## სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარასკევი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | |
| კვირა | 4 | 11 | 18 | 25 | |

## ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| სამშაბათი | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ოთხშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| ხუთშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| პარასკევი | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| შაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |
| კვირა | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | |

## ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| სამშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ოთხშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ხუთშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | |
| პარასკევი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შაბათი | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კვირა | 6 | 13 | 20 | 27 | |

## დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარასკევი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| კვირა | 4 | 11 | 18 | 25 | |

# მართლმადიდებლობა

## სამი ათეული წელი – ქრისტეს ჯარისკაცი



**მამა** გიორგი ზაბახიძე, იმ თაობის სასულიერო პირია, რომელთაც არ უყვართ საკუთარ თავზე საუბარი. იმ თაობის, რომელ თაობამაც უჩუმრად ითავა დიდი და ხმაურიანი საქმის კეთება - ქრისტეს სიტყვის ქადაგება.

ჩემი თაობის ვალად ვთვლი მათი შეუწონარი ღვაწლის ღირსეულ დაფასებას...

აგერ უკვე სამი ათწლეული მიილია, რაც მამა გიორგი დედა ეკლესიას ემსახურება.

მრავალი დევნა ...

დაცინვა...

შეურაცხყოფა გადაუტანია იმის გამო, რომ ქრისტეს მღვდელი იყო.

უფალმა სიყრმითგანვე მოუწოდა მას... და ჯერ კიდევ წვერ შეუბუმბლავს კახეთის კურთხეულ მიწაზე ხვდა მსახურება. არც სახლი ჰქონდა იქ... არც დასარჩენი... მეუღლესთან ერთად ჩავიდა და მიენდო უფალს...

მსახურებდა და იცოდა, რომ უფალი თავის შვილს არასოდეს დატოვებდა მარტო.

თავის მეუღლესთან ერთად ღამეებს ათენებდა წიგნების გადაწერაში.

მაშინ მარტო ერთი სამღვდელო კონდაკი გვქონდა ეპარქიაში და რვეულში ვიწერდით ნათლობის, ჯვრის წერის და სხვა საღვთისმსახურო წეს-განგებასო.

მთელი ცხოვრება რაიონში მსახურებს. ხშირად იხსენებს რკინის ცივ სკამზე გატარებულ დღეებს.

ერთი ცალი პომიდორის ამარა, ხან ესეც არ იყო...

შვილთა დაბადებას ვერ დაესწრო - ქრისტეს სიტყვას ქადაგებდა. ყინვაში შეუდგებოდა ხოლმე ლაგოდეხი-იმერეთის გზას. მოკრძალებით საუბრობს ფეხით გავლილ კილომეტრებზე. მატარებლის ვაგონში დანთებულ ცეცხლზე, რათა მცირედით მაინც შემსუბუქებულიყო ზამთრის ყინვა. ამ გზას ზურგზე მოკიდებული ხურჯინით გადიოდა. მცირედი ხახვი, ზეთი, კარტოფილი ოჯახს, პატარა ბავშვებს, რომ არ მოშიებოდათ.

უამრავი ტაძარი აღაშენა და განამშვენა... და რაც ყველაზე მთავარია - ათასობით სულიერი ტაძარი აქვს აშენებული იმ ადამიანთა სახით, რომელნიც დღეს ემსახურებიან დედა ეკლესიას. სადაც ფეხი დადგა საოცარი სითბო და სიყვარული დატოვა.

არასოდეს საუბრობს საკუთარ თავზე...

რაიმე მასზე, რომ ჰკითხო გეტყვის - მე არაფერი გამიკეთებიაო...

მაგრამ როგორ დავმალოთ ამდენი აშენებული და გამშვენებული ტაძარი(საბჭოეთის ნანგრევებზე - ქართული ხურუთმოძღვრების ღირშესანიშნაობანი) ?! ...

ათასობით აშენებული სულიერი ტაძარი, რომელნიც მიმობნეულნი არიან ჩვენი ქვეყნის ქუჩებში...

კახეთის მიწაზე დათესილი ქრისტეს სიტყვა - დღეს დიდ მოსავლად ხარობს...

რა ვუყოთ ამ მოსავალს? როგორ დავმალოთ? როგორ არ ვთქვა, რომ ეს მოსავალი შენი დიდი შრომის ნაყოფია. ვუყურებ მამა გიორგის და მახსენდება უფლის სიტყვა, წმინდა მოციქულ პეტრეზე თქმული: „შენ ხარ კლდე“ .

მამა გიორგი - იმ კლდის შეურყეველი და უძვირფასესი ლოდია, რომელსაც ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან. გული ხარობს და ზეიმობს იმ მარგალიტის მშვენიერებით, რომლითაც შემოსილია საქართველოს სამოციქულო ეკლესია. და ეს მარგალიტი - დეკანოზი გიორგი ზაბახიძეა.

გილოცავ, იუბილეს!

*თეიმურაზ ქორიძე,*

***საგარეჯოს წმინდა დოდო გარეჯელის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური***

# გამოსათხოვარი

## მოძღვარი, წინამძღვარი იაკობი (ავალიშვილი)



**აუცილებლად** უნდა დავწერო მათთვის, ვისაც მინდა, დღეს სამძიმარი ვუთხრა: პატარძეულის , ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრის, ჩვენი ძვირფასი მოძღვრის მამა იაკობ ( ავალიშვილის) გარდაცვალების გამო.

**არიან** ადამიანები, რომლებიც შეუმჩნევლად მოდიან და მიდან, ზოგი ისე კვდება, თავისი ჩარჩოდან ზომავს ქვეყნიერებას, ზოგიერთს კი შეუძლია წუთიც მარადისობად აქციოს. მამა იაკობი იმ რჩეულთაგანი იყო, ვისაც ეპოქის შექმნაც კი შეეძლო და შექმნა კიდეც. 18 წლის წინ ჩამოვიდა პატარძეულში ღვთის ნების აღსასრულებლად. „გონივრულად გამოიყენაო ღმერთისგან მიცემული დრო"-ერთმა ღვთის მსახურმა ასე თქვა მასზე და სწორედაც.

სულ მინდოდა, მისთვის მეთქვა, რა მადლიერი ვიყავი მისი, როგორ არავის ჰგავდა და საერთოდ, ნეტავ გამებედა და ერთხელ მაინც მეთქვა, რომ დიდი ადამიანი იყო. ახლა, როცა ძვირფასი მოძღვარი ხორციელ ცხოვრებას გაეყარა და მის მრევლს სრული პანიკა დაგვეუფლა, დასასრულის, მარცხის მძიმე განცდა გაგვიჩნდა, კიდევ უფრო ვრწმუნდები, რომ ჩვენ გვერდით „ზეცისა კაცი" ცხოვრობდა. არ ვაჭარბებ და ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ვამბობ, ალბათ ეს განსაცდელი ჩვენს თავზე დაეშვა იმის მიმანიშნებლად, რომ კიდევ ერთხელ გაგვეაზრებინა მისი სიდიადე.

ვინც მასთან ერთი წუთი მაინც ჩამომჯდარხართ მონასტრის შესასვლელთან, ან სატრაპეზოში თავისი ლუკმით გაგმასპინძლებიათ, ან თქვენი ტკივილების და განსაცდელის დროს მისი თვალებისთვის შეგიხედავთ, უხმოდ, მყისიერად მასში თავად უფალს დაინახავდით. მამა იაკობი იყო მაგალითი, რომელიც უნდა გაგვეაზრებინა „ვისაც ყური აქვს ისმინოს"-ხშირად ამბობდა.

მეგობრებო, ვინც მის ფრთებქვეშ იყავით შეფარებულები და გეიმედებოდათ, რომ იაკობი კლდესავით იდგა თქვენს ზურგს უკან, ახლა თითქოს ცა ჩამოიქცაო, გზას ვეღარ ვხედავთ. აქედან მოგმართავთ ყველას, ვისაც გეხებათ: უსიყვარულობა ნუ გექნებათ ერთმანეთისო!- მისი ფორმულაა და გვახსოვდეს. ჩვენ არ გვაქვს უფლება გზააბნეულობის, დაფანტულობის, სასოწარკვეთის. ზევიდან ის ალბათ გვიჩვენებს , მიგვანიშნებს მაინც, გამოსავალს.

ამ ქვეყნად ყველა ბრძოლა მისით მოვიგე, ასე მგონია, ეშმაკს რქებიც ერთად მოვამტვრიეთ. ახლა აღარ მყავს დიდი მასწავლებელი და უერთგულესი მეგობარი.

როგორ მინდა, მამაო მცირე ხნით უკან დამაბრუნებინა დრო, აუცილებლად გეტყოდით უდიდეს მადლობას და კიდევ ერთხელ გთხოვდით შენდობას.

ამ დეკემბერში, ის მხოლოდ ჩვენ კი არ გვშორდება ( ვერ ვიტყვი, მოკვდა მეთქი), ასეთი დიდი მამები საქართველოს მომავალს როგორ სჭირდებოდა, ერთეული, რჩეული...

დეკემბრის ერთ უცნაურ ღამეს პატარძეულის მამათა მონასტრის იღუმენი, ბერ-მონაზონი მამა იაკობი (ავალიშვილი) ხორციელი ყოფიდან სხვა განზომილებაში გადავიდა და ახალი გამოცდის ჩასაბარებლად ახლა უკვე, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიმღებნი-მარტონი დაგვტოვა..ძალიან გვიყვარხარ მამაო, სავარაუდოდ ძალიან გაგვიჭირდება წუთისოფლის ლაბირინთებში...

„ ნუ გეშინიათ, მე იქ დაგელოდებითო"-ხშირად გვეუბნებოდით. აღარ გვეშინია!

შეხვედრამდე, ძვირფასო მოძღვარო...

*ნინო ბურდიაშვილი,*

***პატარძეულის საჯარო სკოლის მენეჯერი***

# გამოსათხოვარი



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყება თანამშრომლის

**თინა ბეჟიტაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# მოსაგონარი

## მედეა მეზვრიშვილი



**დრო** გარბის...

2009 წლის 4 დეკემბერი მძიმედ გასახსენებელი დღეა – ამ დღეს საგარეჯოს და საერთოდ, საქართველოს დიდი გულშემატკივარი და მოამაგე, ქართულ მიწა-წყალზე, თანამემამულეებზე უზომოდ შეყვარებული მედეა მეზვრიშვილი იმიერ სამყაროს მუდმივი მგზავრი გახდა.

დაიბადა საგარეჯოში, გაიზარდა, სიკვდილამდე ემსახურა თავის ქვეყანას. ვინ მოსთვლის მის მიერ ნაკეთებ კეთილ საქმეებს, რომლებიც დღესაც გვახსენებენ მის შეუვალობას, პრინციპულობას და ადამიანურ თვისებებს, როცა საქმე სამშობლოს, მის მიწა-წყალს ეხება.

აკადემიკოს რევაზ ხუროძის სიტყვებს გავიხსენებ – „წასული ადამიანები ქმნიან ახალ ისტორიას, მათ ბაზაზე ხდება განახლება“

ღმერთმა ინებოს სასიკეთოდ განახლებულიყოს ყოველივე კარგი საქართველოში.

*თინა ბეჟიტაშვილი*

# გამოსათხოვარი

## დაკო ნარეკლიშვილი



**არ** ვიცით რატომ, მაგრამ როცა ადამიანები უსაშველოდ მძიმე მდგომარეობაში ვარდებიან, ყოველთვის ღიად რჩება კითხვები: უფალო, რატომ და რისთვის იყო ასეთი ტრაგედია საჭირო, როგორ დავიჯეროთ, რომ ერთი მშვენიერი, სიცოცხლით სავსე გოგო დაამძიმებდა დედამიწას?! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის ხომ მხოლოდ 25 წლის იყო და 2 წლის შვილი ჰყავდა გასაზრდელი.

ასეთი ყოფილა განგების სასტიკი კანონი. იმქვეყნად დახვდებიან ახალგაზრდა, ყოჩაღი, ჭკვიანი გოგო-ბიჭები და იქ აიხდენენ ოცნებებს, რომელიც ასე ბევრი ჰქონდათ.

დიახ, დაუჯერებელია, მაგრამ აღარ არის ერთი საოცარი გოგო, რომელიც მოუკვდა პატარა შვილს, მეუღლეს, მშობლებს და სრულიად ქალაქს.

მოფერებით დაკოს ვეძახდით (თვითონაც ასე მოსწონდა) და ის დღეს ჩვენს გვერდით აღარ არის. ტრაგიკულმა შემთხვევამ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დიდ ოჯახს წაგვართვა ჩვენთვის პატარა დაკო და დაგვიტოვა დიდი ტკივილი.

სკოლამდელთა გაერთიანება ვიზიარებთ ამ დიდ მწუხარებას, ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, ახლობლებს. მშვიდობით, გაუხარელო ანგელოზო. უფალო, ნათელში ამყოფე მისი ლამაზი სული და აუხდინე ყველა ოცნება, რაც დიდი ტკივილის ფასად წაიღო იმქვეყნად.

*ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“.*

## დაკო ნარეკლიშვილი



**როგორ** მჯეროდა, რომ არ დანებდებოდი და გაიმარჯვებდი. იმედს შენი შეუპოვრობა და სიძლიერე მაძლევდა. როგორ გიყვარდა ყველაფერი ჩემო მიზანდასახულო, მოუსვენარო და გამრჯე გოგო. როგორ გიხაროდა ცხოვრება, რომელსაც ასე ულამაზებდი შენს პატარა მარიკუნას და მეუღლეს – გიორგის.

ძალიან გვატკინე გული. ძნელია ჩვენთვის უშენობა იმ კედლებში, სადაც ყველაფერი შენს თავს გვახსენებს. ახლაც, უკვე წარსულში ტირილით გიხსენებთ და ვსაუბრობთ შენზე. როგორ გაგვამწარე ყველა...

რატომ, ღმერთო, რატომ?!

უფალმა ნათელში გამყოფოს და ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს იქ, იმ ზეციურ სამყაროში საყვარელო.

მშვიდობით დაკოო...

*ლილი ლოლაძე,*

***საგარეჯოს №4 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება***

# წელი ახალი, იმედებით, მომავლის ნათელით გაბრწყინებული



**მოდის ახალი წელი, ჟამთა სვლამ ვერ შეაჩერა არსთა გამრიგეს მიერ დაკანონებული სამყაროს მართვის დასაბამისეული წესები – ზამთარს გაზაფხული მოსდევს, ზაფხულს – შემოდგომა, წელს – წელი, საუკუნეს – საუკუნე და უკვე მესამე ათასწლეულის წლებს ვითვლით სიცოცხლის მარადიულობის კრიალოსანზე.**

**რამდენიმე დღე და კარს ახალი, 2022 წელი შემოგვიღებს. განვლილი 2021 წლის შეფასება ვთხოვეთ ჩვენი გაზეთის მკითხველსა და საგარეჯოელთათვის პატივსაცემ და საყვარელ პიროვნებას – მზია დარბაისელს. ქ-ნი მზია საგარეჯოში დაიბადა და გაიზარდა და აგერ, თითქმის 7 ათეული წელიც აქ გაატარა, გაზარდა სამი შვილი – ადრე დაობლებული, დედისგან მხოლოდ სიკეთის თესვისა და სიყვარულის გაცემით დამოძღვრილები. მარტოდარჩენილი თავის ფიქრებსა და ტკივილებს მხოლოდ ბალიშს ანდობდა, შვილებს თავს მხნედ აჩვენებდა. თავისი ცხოვრების გზა სხვებზე მზრუნველობასა და მოფერებაში გალია, მუშაობდა საპასუხისმგებლო სამსახურში, ბოლოს, გასული საუკუნის 90-იან წლებში საგარეჯოს რაიონის საკრებულოს პასუხისმგებელი მდივანი იყო. ისე, რომ მას დღესაც ხელის გულზე უდევს საგარეჯოს რაიონის თითოეულ სფეროში მიმდინარე პროცესი, აქტიურად ხელი უდევს საგარეჯოს რაიონის მაჯისცემაზე და მიუხედავად იმისა, რომ სახლშია, ყოველთვის ინტერესით ადევნებს თვალყურს აქ მიმდინარე პროცესებს. ქ-ნი მზია ჩვენი გაზეთის აქტიური მკითხველია, ამიტომაც მივმართეთ მას რამდენიმე კითხვით.**

***– ქ-ნო მზია, გილოცავთ დამდეგ ახალ წელს! სიხარული, ჯანმრთელობა და სიკეთე მოეტანოს საქართველოსთვის და სრულიად სამყაროსთვის. ჯანმრთელობა, რაც ასე მწვავედ დგას დღეს მსოფლიოს დღის წესრიგში. ისტორიამ კიდევ ერთი წელი მიითვალა თავისი ავ-კარგიანობით. თქვენი აზრით, რა იყო ყველაზე მტკივნეული საგარეჯოელებისათვის 2021 წელს?***

– პირველ რიგში დიდი მადლობა იმ ნდობისათვის, რომ მომეცით საშუალება გამომეთქვა ჩემი აზრი თქვენი გაზეთის ფურცლებზე.

2021 წელს ყველზე მტკივნეული არა მარტო საგარეჯოელებისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის იყო პანდემია, შემზარავი „კორონა", რომელიც უჩინარ „განაჩენად" მოევლინა სამყაროს და ერთ დიდ, ბრძოლის ველს დაამსგავსა მთელი დედამიწა.

უკვე 70-ს გადავაბიჯე, წუთისოფლის ავი-კარგი, ყველაფერი ვნახე... ამას კი ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ „ოდესმე" „ვინმე" ან „რამე" სახლში ჩაგვკეტავდა. ამასაც მოვესწარით... „კორონამ" მოახერხა ეს. მკაცრად ჩაგვიკეტა გარეთ გასასვლელი კარი, მხოლოდ „ფიქრის კარი" დატოვა ღია, პირბადეაფარებულებს მოგვანატრა ღიმილი და ახლობლები.

განსაკუთრებით მტკივნეულია იმის განცდა, რომ კოვიდინფექცია მუხანათურად ანადგურებს და საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

მიუხედავად სამედიცინო მუშაკების თავგანწირული ბრძოლისა, ბევრი ძვირფასი ადამიანი ისე წავიდა ჩვენგან, რომ უკანასკნელ გზაზეც ვერ გავაცილეთ. მათი მონატრება მოუშუშებელ ტკივილად დარჩა ახლობლების გულში.

***– ყველაზე სასიხარულო...***

– საბედნიეროდ, ცხოვრებაში მარტო ტკივილი არაა. მისი ანტონიმია სიხარული. ხალხში გაბნეულია ბრძნული აზრები: „ტირილი და სიცილი ძმებიი არიანო", „აღმართს ყოველთვის დაღმართი მოსდევს", „ღამე დღეს უთენებია" და ა.შ. ასეა ჩვენი საგარეჯოელებისთვისაც. ცხოვრება ჯიქურ მიიწევს წინ.

მუნიციპალიტეტი აქტიურად არის ჩართული ახალი სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონები"-ს განხორციელებაში. ამ პროგრამის ფარგლებში დღითიდღე მშვენდება ქალაქის ცენტრი. დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მოეწყო საფეხმავლო ბილიკები და ლითონის ახალი ჯებირები. ლამაზდება შენობების ფასადები. უფრო მეტად კი სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ყოველივე ამ სასიკეთო საქმეს ხელმძღვანელობს თავის გუნდთან ერთად ახლადარჩეული მერი, ჩვენს უბანში გაზრდილი და დავაჟკაცებული, გამრჯე და შრომისმოყვარე ახალგაზრდა ავთანდილ გულიკაშვილი. წარმატებებს ვუსურვებ მათ ამ რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობის შესრულებაში.

***– როგორ აშუქებდა ჩვენი გაზეთი რაიონში მიმდინარე მოვლენებს, გივსებდათ თუ არა საინფორმაციო ინტერესის სფეროს?***

– უნდა აღვნიშნო, რომ მე არ ვსარგებლობ სოციალური ქსელით, ამდენად გაზეთი „გარეჯის მაცნე" ერთადერთი წყაროა ჩემი საინფორმაციო ინტერესის სფეროს დასაკმაყოფილებლად. ამიტომ ყოველთვის მოუთმენლად ველი მის გამოცემას.

გაზეთში ფოტოების თანდართვით კარგად არის გაშუქებული რაიონში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და შემოქმედებითი მოვლენები. მუნიციპალიტეტის და საკრებულოს ანგარიშებიდან შეიძლება დეტალური ანალიზის გაკეთება, თუ სად, რა ხდება, როდის და როგორ, რა გაკეთდა.

***– რომელი საგაზეთო სტატია მოგეწონათ ყველაზე მეტად?***

– თქვენს გაზეთში ძალიან მომწონს რუბრიკა – „ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლდან?!" აქედან ვიგებ ჩვენი მომავალი თაობის, ჩემი შვილიშვილების თანატოლების წარმატებების შესახებ. ჩემთვის ყველაზე მეტად ამაღელვებელი იყო სტატია: „მან ჩვენი სიყვარული დაიმსახურა", სადაც მოთხრობლია ნინოწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლე, მამის ალერსს მოკლებული, „რანინას" კონკურსის მონაწილე, პატარა მომღერალი ნინი ორკოშნელის შესახებ.

ნინოწმინდა ხომ ჩემი ნაადრევად ჩამქრალი სიყვარულის სავანეა. მე ამ სოფლის მიწაც კი მიყვარს და ამ მიწის შვილების წარმატებები განსაკუთრებით მახარებს. მე არ მინახავს მისი გამოსვლები, მაგრამ დაუსწრებლადაც სხვებთან ერთად ჩემი სიყვარულიც დაიმსახურა თქვენი გაზეთის ფურცლებიდან.

***– რას გვირჩევთ, რა საკითხებზე გავამახვილოთ ყურადღება მომავალ წელს?***

– ჩემი აზრით მომავალ წელს კარგი იქნება მეტი ყურადღება გამახვილდეს ჩვენი ქალაქის „თვალ-საგარეჯოს" ისტორიულ წარსულზე, მის ამაგდარ ადამიანებზე, რომლთა ნაკვალევზეც თამამად დავაბიჯებთ. მუდამ უნდა გვახსოვდეს დიდი ილიას შეგონება: „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა".

ვსარგებლობ შემთხვევით და ყველას გილოცავთ დამდეგ 2022 წელს. ფეხბედნიერი და ღიმილიანი ყოფილიყოს იგი სრულიად საქართველოსათვის.



# 19 დეკემბერი – წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღეა!

## ქალაქ ბარის მფარველი წმინდანი ნიკოლოზი

**თეოფანესა** და ნონას ხანგრძლივი, გულმხურვალე ლოცვით ღმერთმა ამ ღვთისმოშიშ ოჯახსა და მთელს მართლმადიდებლურ სამყაროს წმიდა ნიკოლოზი მოუვლინა. წმიდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედი, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსი ლუკიის ოლქის ქალაქ პათარში (მცირე აზიის ნახევარკუნძულის სამხრეთ სანაპიროზე) ქრისტეს შობიდან 257 წელს დაიბადა.

წმიდა ნიკოლოზი სიყრმეშივე ღრმად განისწავლა საღმრთო წერილში. პართიის ეპისკოპოსმა ღვთისმოშიში ყმაწვილი მედავითნედ დაადგინა, შემდეგ კი მღვდლად აკურთხა.

325 წელს იგი მონაწილეობას იღებდა ნიკეის I საეკლესიო კრებაზე, სადაც მიიღეს სიმბოლო სარწმუნოებისა – მრწამსი.

წმიდა ნიკოლოზი გაჭირვებულთა დამხმარეა. მას ტანჯულთა შემწეობა გარდაცვალების შემდეგაც არ შეუწყვეტავს. სასწაულთმოქმედმა მშობლების გარდაცვალების შემდეგ მთელი ქონება გაჭირვებულებს უბოძა. წმიდა ნიკოლოზი ცდილობდა, კეთილი საქმეები მუდამ უჩუმრად ეკეთებინა. სურდა, რომ ისინი მხოლოდ უფლის წინაშე ყოფილიყო გაცხადებული. მშობლების სიკვდილის შემდეგ მან იერუსალიმი მოილოცა, ქალაქ მირონში დაბრუნებული კი ეპისკოპოსად აირჩიეს.

ხელდასმის დღეს მღვდელმთავარმა სამწყსოს წმიდა ნიკოლოზზე მიუთითა და თქვა:

"ძმანო! მე ვხედავ ახალ მზეს, ამომავალს ქვეყნად ყოველთა მწუხარეთა ნუგეშინისცემად. ნეტარ არს სამწყსო, რომლის მწყემსიც იგი შეიქნება".

ღვთის სიყვარულისა და ხალხის დახმარებისთვის ის ქალაქ მირონში იმპერატორ დიოკლიტიანეს ბრძანებით შეიპყრეს და დილეგში ჩააგდეს. ღვთის სიტყვას იქაც მოუკლებლად ქადაგებდა. იგი 8 წლის შემდეგ გაათავისუფლეს, როცა იმპერატორად ქრისტიანთა მფარველი – კონსტანტინე დიდი დაჯდა.

მღვდელთმთავარი ნიკოლოზი 82 წლის გარდაიცვალა. მისი სხეული კეთილსურნელებასა და მირონს გამოსცემდა და მრავალ სასწაულს აღავლენდა. თავდაპირველად ის ადგილობრივ საკათედრო ტაძარში იყო დაბრძანებული. 1087 წელს კი ეს სიწმინდე იტალიაში, ქალაქ ბარში გადაასვენეს.

წმიდა ნიკოლოზი გარდაცვალების შემდეგაც არის მკურნალი ადამიანების ფიზიკური და სულიერი ავადმყოფობისა. მას განსაკუთრებით მეზღვაურები ეთაყვანებიან.

წმიდა ნიკოლოზის ხსენების დღე წელიწადში ორჯერ არის: ძველი სტილით – 9 მაისსა და 6 დეკემბერს, ხოლო ახალი სტილით –22 მაისსა და 19 დეკემბერს.

ქალაქ ბარიში, უძველესი ტრადიციის თანახმად, ამ დღეს დილის 5 საათზე ესწრებიან ლიტურგიას და შემდეგ მიირთმევენ "ცხელ შოკოლადს".

წმიდა ნიკოლოზი – მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსი საქართველოს მართლმადიდებლური ტაძრების მფარველია – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მას ჩვენი ტაძრები შეავედრა.

## მადლიერება

# ისინი ჩვენი დროის გმირები არიან



**ორი** წელია მსოფლიო შენელებული, დაძაბული, საშიშროების მოლოდინშია ჩაყურსული – კაცობრიობის უხილავმა მტარვალმა მილიონობით ადამიანს შეაცვლევინა დღის რეჟიმი, მომავალზე ფიქრი და მისწრაფება. „Covid-19"-მა ვერაგი დაავადების სახელი გაამართლა – ჩვენს გვერდით აღარ არიან ადამიანები, რომლებიც ჩვენს ყოველდღიურობას პოზიტიური მუხტით, დადებითი ენერგიით ავსებდნენ და ცხოვრებას გვილამაზებდნენ. სამედიცინო სფეროა დღეს ყურადღების ცენტრში. დიახ, მილიონობით ადამიანია მიჩერებული სატელევიზიო გადაცემებს, სოციალურ ქსელებში ეძებს გამოსავალს, ინტერესით ადევნებს თვალს თითოეული მედიკოსის გამოჩენას, რას იტყვის, რით დაამშვიდებს აფორიაქებულ, ვირუსის მოლოდინში შეშინებულ ადამიანს, ასაკიანს თუ უასაკოს... სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავეთ ჯარისკაცებს უწოდებენ, რომლებსაც მედგრად და უშიშრად ებრძვიან უხილავ მტერს... მადლობა მათ და გამძლეობა, გამარჯვება ამ ორთაბრძოლაში, რომელმაც ზოგიერთს ოჯახიც დაავიწყა და ბედნიერი დღეებიც...

მაგრამ, როგორ შეიძლება აქვე არ დავინახოთ იმ სამედიცინო პერსონალის როლი, გარჯა, ამტანობა და პროფესიონალიზმი, რომელზედაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხშირ შემთხვევაში ამ ვერაგი დაავადებით დაავადებულთა პირველადი დახმარება, დიაგნოზის დასმა, პაციენტის, მისი ოჯახის წევრების ფსიქოლოგიური მომზადება, მათი დამშვიდება და დაწყნარება, საჭიროების შემთხვევაში კლინიკაში გადაყვანა უწევთ იმ დროს, როცა მათ ხელი არ მიუწვდებათ ლაბორატორიული კვლევებისათვის და არც თანამედროვე ტექნოლოგიური გამოკვლევებისათვის.

დიახ, მათ ოპტიმალურ ვადებში, ხშირ შემთხვევაში წუთებშიც, „ცარიელი" ხელებით უნდა დასვან დიაგნოზი, პაციენტს აღმოუჩინონ პირველადი დახმარება, დაამშვიდონ, დააწყნარონ და უზრუნველყონ სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა, მით უმეტეს, რომ კოვიდინფექცია არავის ინდობს. დამეთანხმებით, ესენი მართლაც მუხლჩაუხრელი, ქედუდრეკელი ადამიანები არიან.

და ვინ არიან ისინი?

***საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების საგარეჯოს ცენტრის (მენეჯერი ზაზა ქვლივიძე), ექიმები: მარინა იმნაძე, ნინო ოქრომჭედლიშვილი, ნანა კოხტაშვილი, ნანა ილაური, ეკა კურდღელაშვილი, ქეთი ზაუტაშვილი, მაია სახიაშვილი, მაია ღვინაშვილი, ნინო ხუციშვილი, მზია მემარნიშვილი, მანანა თამაზაშვილი, თამუნა ნიკოლაიშვილი (თამუნა ერთი თვის წინ სხვა კლინიკაში გადავიდა). ისინი თავიანთ თანაშემწეებთან ერთად ცენტრის ავტომანქანების მძღოლების მცდელობით ცდილობენ ოპტიმალურ ვადებში ჩაეტიონ, დროულად მივიდნენ ავადმყოფთან, დროულად აღმოუჩინონ დახმარება.***

თამამად ვიტყვი, რომ ისინი ყველანი თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან. ამის თქმის უფლებას მაძლევს მათთან სისტემატური თანამშრომლობა. მე, როგორც ექიმ კარდიოლოგს უამრავი პაციენტი მყავს. მათთან გადაუდებელი დახმარების გამოძახებაზე მისული ცენტრის ექიმები ყოველთვის მიკავშირდებიან, ერთად გავდივართ კონსულტაციას და მდგომარეობისდა მიხედვით, ერთობლივი შეჯერებით პაციენტს ჯეროვან დახმარებას უწევენ. ყოფილა შემთხვევა, მათი აზრი მეც გამიზიარებია. ეს გვიადვილებს მუშაობას თითოეული მოქალაქის სიცოცხლის გადარჩენასა და თითოეული პაციენტის გამოჯანმრთელებაში.

და მინდა გაზეთის საშუალებით, წრფელი სიყვარულით და მადლიერების გრძნობით ახალი წელი მივულოცო თითოეულ მათგანს,მათ გვერდში მდგომ თანაშემწეებს – მედიცინის დებს, მძღოლებს და ვუსურვო ყოველთვის სიკვდილზე გამარჯვება, პაციენტების გამოჯანმრთელება, პირადი ბედნიერება. მათთვის ხომ არ არსებობს დღესასწაული, სიცხე-სიცივე, პანდემია, დასვენება და და მორიგეობის დროს ოჯახზე ფიქრი.

***პატივისცემით,***
***ექიმი კარდიოლოგი***
*მაია ანუაშვილი*

# 2022 წლის მართლმადიდებლური კალენდარი

ქვეყნის დასაბამიდან (5604+2022) - 7626 წელი
საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან (326) 1696 წელი
საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭებიდან (468) 1554 წელი

აკურთხე გვირგვინი წელიწადისა სიტკბოებითა შენითა, უფალო.

### იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| სამშ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ოთხშ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| ხუთშ. | 6 | 13 | 20 | 27 | |
| პარ. | 7 | 14 | 21 | 28 | |
| შაბ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| კვ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |

### თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| სამშ. | 1 | 8 | 15 | 22 | |
| ოთხშ. | 2 | 9 | 16 | 23 | |
| ხუთშ. | 3 | 10 | 17 | 24 | |
| პარ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შაბ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კვ. | 6 | 13 | 20 | 27 | |

### მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| სამშ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ოთხშ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ხუთშ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| პარ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შაბ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კვ. | 6 | 13 | 20 | 27 | |

### აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 4 | 11 | 18 | 25 |
| სამშ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ოთხშ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ხუთშ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| პარ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| შაბ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| კვ. | 3 | 10 | 17 | 24 | |

### მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამშ. | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ოთხშ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხუთშ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პარ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შაბ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კვ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

### ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| სამშ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ოთხშ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხუთშ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| პარ. | 3 | 10 | 17 | 24 | |
| შაბ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კვ. | 5 | 12 | 19 | 26 | |



წმინდა გიორგი

**24 აპრილი (ახ.სტ.) - ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი**

**საუფლო დღესასწაულები:**

7.01 – შობა უფლისა
19.01 – ნათლისღება (წყლის კურთხევა)
15.02 – მირქმა (მიგებება)
7.04 – ხარება (ხსნილია თევზით)
17.04 – ბზობა–ბაიაობა (მოძრავი) (ხსნილია თევზით)
2.06 – ამაღლება (მოძრავი)
12.06 – სულთმოფენობა (მოძრავი)
19.08 – ფერისცვალება
28.08 – მარიამობა
21.09 – შობა ღმრთისმშობელისა
27.09 – ჯვართამაღლება
4.12 – ტაძრად მიყვანება ღმრთისმშობელისა

**დღესასწაულები:**

14.01 - წინადაცვეთა უფლისა
27.01, 1.06 - ნინოობა
8.02 - დავითობა
3.03, (მოძრავია) 22.05 - შიოობა
16.04 - ლაზარეს შაბათი (მოძრავია)
1.05 - კვირაცხოვლობა (მოძრავია)
6.05, 23.11 - გიორგობა
8.05 - 14.05 - თამარობა
12.05, 13.12 - ანდრიაობა
22.05, 19.12 - ნიკოლოზობა
9.06 - მამადავითობა (მოძრავია)
19.06 - ყოველთა წმიდათა (მოძრავია)
7.07 - იოანე ნათლისმცემლის შობა
12.07 - პეტრე-პავლობა
13.07 - 14.10 - სვეტიცხოვლობა
15.07 - ვლაქერნობა
28.07 - კვირიკობა და ივლიტობა
9.08 - პანტელეიმონობა
11.09 - იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთა. მძიმე მარხვა
14.09 - საეკლესიო ახალი წელიწადი
26.09 - ქეთევანობა
9.10 - 21.05 - იოანე ღმრთისმეტყველობა
18.10 - გრიგოლ ხანძთელი ხსენება
13.11 - ასი ათასი მოწამის ხსენება
21.11 - მთავარანგელოზობა
13.12 - ვახტანგ გორგასლობა
17.12 - ბარბარობა
24.12 - ყოველთა ქართველთა წმიდათა
25.12 - სპირიდონ ტრიმიფუნტელობა

**მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეები:**

26.02 - ხორციელის შაბათი
19.03 - დიდი მარხვის მეორე შაბათი
26.03 - დიდი მარხვის მესამე შაბათი
2.04 - დიდი მარხვის მეოთხე შაბათი
3.05- თომას კვირის სამშაბათი
11.06 - სულის შაბათი (სულთაობა)
5.11 - დიმიტრის შაბათი

თარიღები ნაჩვენებია მხოლოდ ახალი სტილით

### ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 4 | 11 | 18 | 25 |
| სამშ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ოთხშ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ხუთშ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| პარ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| შაბ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| კვ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |

### აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| სამშ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ოთხშ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ხუთშ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| პარ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| შაბ. | 6 | 13 | 20 | 27 | |
| კვ. | 7 | 14 | 21 | 28 | |

### სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამშ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხშ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთშ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შაბ. | 3 | 10 | 17 | 24 | |
| კვ. | 4 | 11 | 18 | 25 | |

### ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| სამშ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ოთხშ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| ხუთშ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| პარ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| შაბ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |
| კვ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | |

### ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| სამშ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ოთხშ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ხუთშ. | 3 | 10 | 17 | 24 | |
| პარ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შაბ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კვ. | 6 | 13 | 20 | 27 | |

### დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამშ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხშ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთშ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შაბ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| კვ. | 4 | 11 | 18 | 25 | |

**საეკლესიო სამახსოვრო დღეები:** 25 მარტი — საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის დღე (1917 წელი); 2 აგვისტო — ილია II ანგელოზის დღე; 25 დეკემბერი — უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II აღსაყდრების დღე (1977 წელი).

**მარხვები:** სააღდგომო: 7 მარტი — 23 აპრილი; პეტრე-პავლობის: 20 ივნისი — 11 ივლისი; მარიამობის: 14 — 27 აგვისტო; შობის: 28 ნოემბერი — 6 იანვარი.

ოთხშაბათი და პარასკევი ხსნილია წლის განმავლობაში მხოლოდ მსგეფსში.

-თევზით ხსნილი; ◯ -მარხვა; ⬚ - ვნების შვიდეული; ● - მიცვალებულთა ხსენება; ● -საუფლო; ◯ -მსგეფსი; ⬚ -ბრწყინვალე შვიდეული; ● -ყველიერი;

**გარდამავალი დღესასწაულები:**

ღირ. შიო მღვიმელის - ყველიერის ხუთშაბათს (3.03);
დიდმოწ. თეოდორე ტირონის - დ. მარხვის I შაბათს (12.03);
წმ. გრიგოლ პალამასი - დ. მარხვის II კვ. (20.03);
ჯვრის თაყვანისცემა - დ. მარხვის III კვ. (27.03);
ღირ. იოანე კლემაქსისა - დ. მარხვის IV კვ. (3.04);
ღირ. მარიამ მეგვიპტელისა - დ. მარხვის V კვ. (10.04);
მართალი ლაზარეს შაბათი - (16.04);
მენელსაცხებლე დედათა - აღდგომიდან III კვ. (8.05);
განრღვეულის კვირა - აღდგომიდან IV კვ. (15.05).

# წარმატებული გარეჯელი სპორტსმენები

ragbi

## „ვეფხვების“ დღევანდელობა

**გარეჯული რაგბის ისტორია ორ ათეულ წელზე ცოტა მეტ ხანს ითვლის. პატარძეულში, იქაური ენთუზიასტი ბორჯღალოსნების ზვიად ცუხიშვილის, სანდრო პავლიაშვილისა და სხვათა მიერ საფუძველჩაყრილმა სპორტის ამ საინტერესო და ქართულ გენ-ხასიათებთან მოახლოვებულმა სახეობამ, უკვე საფუძვლიანად გაიდგა ფესვები მუნიციპალიტეტში და პატარძეულს რომ თავი დავანებოთ, საკმაოდ ბევრი მიმდევარიც გამოუჩნდა საგარეჯოსა და მუნიციპალიტეტის სხვა სოფლების მოსახლეობის სახით.**

**ისტორიული და დაუვიწყარია ის წარმატებები, რასაც პატარძეულში რაგბის დაარსებიდან სულ მცირე დროში, აქაურმა პატარა ბორჯღალოსნებმა მიაღწიეს საფრანგეთში, ჩვენს მუნიციპალიტეტთან დაძმობილებული იონიის მხარის თანატოლებთან გამართულ შეხვედრაში, სადაც თავიანთი თამაშის კლასითა და მოპოვებული გამარჯვებებით დიდად განაცვიფრეს ბევრისმნახველი იქაური მაყურებლები და რაგბის სპეციალისტები. პატარძეულიდან წამოვიდნენ საქართველოს რაგბის ეროვნულ ნაკრებში ცნობილი ბორჯღალოსანი, ევროპის ჩემპიონი მურაზ გიორგაძე და სხვა ბევრად თუ ცოტად ცნობილი სახეები. მაგრამ ადამიანისათვის მიღწეული არასოდეს ყოფილა ზღვარი და ეს გარეჯული რაგბის თავკაცებსაც ეხება, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ მუნიციპალიტეტში რაგბის შემდგომი განვითარება-პოპულარიზაციისა და ამით ქართული რაგბის წინსვლის საქმეში თავიანთი ღირსეული წვლილის შეტანისთვის. ხოლო თუ როგორ ახერხებენ ისინი ამას და როგორაა წარმოდგენილი სადღეისოდ საგარეჯოში სპორტის ეს სახეობა, ამის შესახებ გვესაუბრება *ა(ა)იპ „რაგბის კლუბი “ვეფხვების“ დირექტორი, ყოფილი ბორჯღალოსანი და მწვრთნელი* სანდრო პავლიაშვილი.**

***– ბ-ნო სანდრო, როგორც ცნობილია, რაგბის კლუბი „ვეფხვები“ 2000 წელსაა დაარსებული და თავიდან ერთ დროს ეკონომიკურად და სხვა მხრივ ჩამორჩენილი სპორტული ორგანიზაციიდან სადღეისოდ ისე გაძლიერდა და გაიზარდა, შედარებაც კი არ შეიძლება. გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა, გაფართოვდა სამოქმედო არეალი და სხვა. ყოველივე ამის შედეგად, 2020 წლის სეზონზე „ვეფხვების“ კაცთა გუნდი უმაღლეს ლიგაში გადავიდა სათამაშოდ. სასიხარულო და მისასალმებელია ის რიცხობრივი მატებაც, რასაც კლუბის დაბალი ასაკის ჯგუფები იღებენ ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებიდან. ყოველივე ამის გათვალისწინებით, როგორია სადღეისოდ წარმოდგენილი რაგბის კლუბი „ვეფხვები“.***

– „ვეფხვებში“ სადღეისოდ ფუნქციონირებს შვიდი ასაკობრივი ჯგუფი, აქედან ყველაზე მეტი – 4 ჯგუფი დათმობილი აქვთ ბავშვებს, ორია ჭაბუკების და 1 დიდების – კაცთა გუნდი. აქედან, ბავშვთა 4 ასაკობრივ ჯგუფში პანდემიის დაწყებამდე გვყავდა 100 აღსაზრდელი, მაგრამ „კოვიდ-19“-ის გამო ახლა 70-ზე ჩამოვედით. ისინი კლუბში სავარჯიშოდ საგარეჯოდან, ყანდაურიდან, ბადიაურიდან და სხვა სოფლებიდან ორი დაქირავებული მიკროავტობუსით გადმოგვყავს. მიმდინარე წლამდე ჭაბუკებში გვყავდა 1 გუნდი, რომლის რიცხვი წელს ორამდე გავზარდეთ და მათში გაერთიანდა 30 ჭაბუკი. დიდების კაცთა გუნდში გვყავს 40 მორაგბე.

***– ჩვენს მკითხველს უთუოდ დააინტერესებს და იქნებ სურვილი აღუძრას რაგბიში ჩააბან თავიანთი ბავშვები იმის გაგებით, თუ ვინ არიან ამ გუნდების მწვრთნელები...***

– დიდების ასაკის, კაცთა „ვეფხვების“ მწვრთნელია საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი, რაგბის აკადემიის მწვრთნელი ზვიად ცუხიშვილი, საქართველოს 18 და 20 წლამდელთა ნაკრებების მთავარი მწვრთნელი ზურა ამონაშვილი, ქალთა შვიდკაცა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გიორგი მაისურაძე, ფიზმომზადებაში, ასევე საქართველოს შვიდკაცა ქალთა ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელი დავით ლობჟანიძე.

ბავშვთა მწვრთნელები არიან ჩვენს კლუბში გაზრდილი ზაურ შაქარაშვილი, გიორგი ქვლივიძე, საბა ქართველიშვილი, ფრიდონ ბუჩაშვილი.

ჭაბუკთა ლიგის მწვრთნელები არიან ბექა ბეგლარიშვილი და სოსო მიქელაშვილი. აქედან ბავშვებისა და ჭაბუკების წვრთნა-ვარჯიშები ტარდება პატარძეულში, კაცთა გუნდს კი თბილისში უწევს ვარჯიშების ჩატარება.

***– გავიგეთ, საგარეჯოს გარდა რაგბი გურჯაანის მუნიციპალიტეტშიც დაგიარსებიათ?***

– გურჯაანში რაგბი სექტემბრის თვიდან შევიტანეთ. და დავაარსეთ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები და ვატარებთ შესაბამის ვარჯიშებს. დაბალ ასაკობრივ ჯგუფებს ავარჯიშებენ მწვრთნელები – „ვეფხვების“ აღზრდილი მორაგბეები – ალექსი მუჩიაშვილი, გიორგი ზუკაკიშვილი, გოგა მინდიაშვილი. კაცთა გუნდის მწვრთნელია თქვენთვის კარგად ცნობილი ზვიად ცუხიშვილი.

***– შარშან „ვეფხვების“ კაცთა გუნდმა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ითამაშა. რა მოხდა შემდეგ?***

– კი, შარშან შევძელით პირველი ლიგიდან გასვლა და უმაღლეს ლიგაში გადასვლა, მაგრამ რადგან აუტსაიდერებს შორის X ადგილზე აღმოვჩნდით, კვლავ პირველ ლიგაში ჩამოვქვეითდით და წელს ამ ლიგაში ვაგრძელებთ თამაშს.




***– და რა შედეგები გაქვთ წლევანდელ ჩემპიონატში?***

– წელს ამ ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში V ადგილზე ვიმყოფებით. საქმე იმაშია, რომ აქცენტი გვაქვს აღებული გუნდის გაახალგაზრდავებაზე. გვინდა მის შემადგენლობაში ადგილობრივი ჭაბუკები წამოვწიოთ წინ. ამის გამო, შესაძლებელია, ამ ეტაპზე მათ ისე ვერ იბრძოლონ უმაღლესი შედეგებისათვის. ამისათვის მათ, სულ მცირე ორწლიანი მომზადება სჭირდებათ, თუმცა ყოველთვის ცდილობენ მოიგონ ჩემპიონატი.

***– თქვენი კლუბის აღზრდილი და „ვეფხვების“ მოთამაშე საგარეჯოელი გიორგი (გიგი)ქურხული საქართველოს 18 წლამდელთა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში გახდა რუსეთში გამართული ევროპის ჩემპიონატის ჩემპიონი. რას გვეტყოდით მის შესახებ და გიორგის გარდა თუ გყავთ „ვეფხვებიდან“ ეროვნულ ნაკრებში სხვა მორაგბე?***

– გიორგი (გიგი) ქურხული საკმაოდ გონიერი, შრომისმოყვარე მოთამაშეა. უყვარს თავის თავზე მუშაობა და შეცდომების გამოსწორება. არის მეგობრული, კომუნიკაბელური პიროვნება. ირიცხებოდა საქართველოს რაგბის აკადემიაში, რამაც გაუადვილა 18 წლამდელთა ნაკრებში მოხვედრა. ჩვენთვის ძალზე საამაყო და სასიხარულოა, რომ იგი გახდა კალინინგრადში გამართული ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული. რაც შეეხება სხვა მორაგბეებს, ეროვნულ ნაკრებში „ვეფხვებიდან“ ჯერჯერობით არ გვყავნან, თუმცა არიან ამ ნაკრების კანდიდატები, პატარძეულელები – ტატო ბურთიკაშვილი, გიორგი ჭინჭარაძე და მანაველი ლაშა უცუნაშვილი.

***– მიუხედავად გაწეული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა, ჯერჯერობით კვლავ მოუგვარებელია და სადღეისო მოთხოვნებს ვერ პასუხობს კლუბის ინფრასტრუქტურული პირობები. თუ არის გათვალისწინებული სამომავლოდ ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებები?***

– ინფრასტრუქტურული პრობლემები გუნდს საკმაოდ გააჩნია. მძიმე მდგომარეობაშია სათამაშო მოედნის საფარი. წაყენებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს გასახდელები, ამის გამო კაცთა გუნდის თამაშების ჩატარება თბილისში გვიწევს, სადაც მოთამაშეები დაქირავებული ტრანსპორტით გადაგვყავს.

*გვაქვს ერთი სასიხარულო ცნობაც. როგორც ცნობილია ქვეყნის ხელისუფლებამ შეიმუშავა ქვეყნის რეგიონების განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც, სხვათა შორის შესულია 100 ახალი სპორტული მოედნის მოწყობა. ამ პროგრამაში ერთ-ერთ პრიორიტეტად შესულია „ვეფხვებისათვის“ მოედნის მოწყობაც. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოედნის მშენებლობისათვის სათანადო ტერიტორიის მოძიება და როგორც გვპირდებიან, ახალი, 2022 წლიდან მის მშენებლობასაც დაიწყებენ.*

***– პიროვნებები, ვინც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის დაფინანსების გარდა უდგანან მხარში კლუბს და უადვილებენ შემხვედრი წინააღმდეგობების დაძლევას...***

– ამ ეტაპზე ჩვენი დამხმარეები ხელისშემწყობია წრე არც თუ ისე დიდია და მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ პატარძეულში მოქმედი ნავთობკომპანია, რომელმაც შეგვიძინა თამაშებისათვის საჭირო სპორტული ეკიპირება. დიდ დახმარებას გვიწევს და ყოველთვის მხარში გვიდგას ჩვენი პატარძეულელი თანამოქალაქე, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის დამაარსებელი გიორგი (გია) კავთელიშვილი. მან, გარდა იმისა, რომ თავისი ხარჯებით შეგვიძინა მიკროავტობუსი, „ვეფხვების“ მოთამაშეებს, რომლებიც სწავლობენ სეუში, უფინანსებს სწავლების გადასასახადს. კლუბის დამხმარეთა შორისაა ყოფილი პარლამენტარი პატარძეულიდან რომან მუჩიაშვილი.

***– როგორია „ვეფხვების“ ხელმძღვანელების სამომავლო, ახალი – 2022 წლის გეგმები?***

– ჩვენი, კლუბის ხელმძღვანელობის სამომავლო ერთადერთი ძირითადი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი თამაშობდეს კაცთა გუნდში, რაც საგარეჯოს სპორტული ტრადიციების გათვალისწინებით სულაც არაა მიუღწევადი. ასევე, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, წლევანდელიდან გურჯაანშიც გავხსენით რაგბის ჯგუფები და იქიდანაც აუცილებლად მოველით შევსებას. ასევე გვინდა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი მოვიზიდოთ კერძო ბიზნესიდან და ჩავაყენოთ ჩვენი კლუბის დამხმარეთა შორის. ისე რომ, უახლოეს წლებში ჩვენ შევძლოთ ადგილობრივი ძლიერი მოთამაშეებით ჩვენი გუნდების გაძლიერება და უმაღლესი შედეგებისათვის ბრძოლა.

***– ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.***

---

# საგარეჯოელი ბორჯღალოსანი

## ექვსი წლიდან „ვეფხვებთან“

### „ვეფხვებიდან“ ახალგაზრდულ ნაკრებში
### „ევროპა მოგებულია, წინ მსოფლიოა“

**თითქმის ერთდროულად შეაღო საგარეჯოს II საჯარო სკოლისა და პატარძეულის რაგბის კლუბ „ვეფხვების“ კარი 6 წლის გიორგიმ. მამა ზაზამ და პაპა გივიმ (ქურხულები), დიდი მიხა ქურხულის ახლო ნათესავებმა და თვითონაც მოჭიდავეებმა (გიგი ქურხულს დედა – ქეთი გზირიშვილი საგარეჯოელი ფალავნისა და მწვრთნელის შალვა გზირიშვილის შვილიშვილი და საქართველოს ჩემპიონის ჭიდაობაში – ტარიელ გზირიშვილის ქალიშვილია), საგარეჯოსა და მათ გვარში ტრადიციული ჭიდაობის ნაცვლად, რატომღაც რაიონში ახლადფეხმოკიდებულ რაგბიზე გადაწყვიტეს მისი მიყვანა. რატომღაც კი არა და, თუ კარგად ჩავუფიქრდებით, ამ უკვე ჩამოყალიბებული 18 წლის მორაგბის მიღწევებს, ეს ნამდვილად ბედისა და ღვთის კარნახით უფრო მოხდა და კიდევ ერთხელ გაამართლა ანდაზა – „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო“.**

– „ვეფხვებში“ სავარჯიშოდ 6 წლის ასაკში, 2010 წელს მივედი – მეუბნება ***გიგი (გიორგი).*** – იმ წლებში ვარჯიშები საგარეჯოს სტადიონზე ტარდებოდა და საკმაო ხანსაც გასტანა. ვისაც კარგად ახსოვს მაშინდელი, თითქმის ამორტიზებული ქალაქის სტადიონის მდგომარეობა, ადვილად წარმოიდგენს, რა პირობებში გვიხდებოდა რაგბის საიდუმლოებების დაუფლება, მაგრამ იმდენად დიდი იყო დაინტერესება, რომ ნამდვილად არ ეკლდა ბავშვები, არც პატარძეულიდან, არც საგარეჯოდან და არც მახლობელი სოფლებიდან. არცთუ იშვიათად ტარდებოდა შეჯიბრებები, რომელსაც ახლადდაარსებული სპორტის კვალობაზე, არც მაყურებელი აკლდა.

***– მახსოვს, მახსოვს! პირადად მე რამდენჯერმე დავესწარი ასეთ ასპარეზობას „გარეჯის მაცნეში“ მის გასაშუქებლად. მოდი, ახლა ის ადამიანი და მწვრთნელი გავიხსენოთ, ვინც 6 წლის ასაკში პირველმა გაგაცნო რაგბის „ანაბანა“.***

– ბავშვობაში ბევრი მწვბრთნელი მყავდა – გიორგი ქვლივიძე, ზაურ შაქარაშვილი, შპს „რაგბის კლუბ „ვეფხვების“ ახლანდელი დირექტორი სანდრო პავლიაშვილი, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებდნენ და დიდი წვლილი მიუძღვით ჩემი, როგორც მორაგბის ჩამოყალიბების საქმეში.

***– უკვე წლებია რაც „ვეფხვებში“ ხარ. რა პოზიციაზე გიწევს თამაში?***

– კი, შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხვების“ წევრი 6 წლიდან ვარ. რაც შეეხება პოზიციას, ეს არის 8 ნომერი.

***– კარგად არ მახსოვს, მგონი ამ 4 წლის წინ ბაქოში გამართულ ასპარეზობაში საუკეთესო მოთამაშედ დაგასახელეს, არა?***

– ეს იყო 2017 წელს, ბაქოში გამართულ 15 წლამდელთა ტურნირზე.



***– რომელი წლიდან გახდი საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრების წევრი და იქ რა პოზიციაზე გიწევს თამაში?***

– საქართველოს 18 წლამდელთა ეროვნულ ნაკრებში ვთამაშობ 2019 წლიდან, პოზიციაა №5 და №8.

***– ამ ერთი თვე თუ თვენახევრის წინ, საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრები და მასთან ერთად შენც, გახდით ევროპის ჩემპიონები. მოდი, ჩვენს მკითხველს შევახსენოთ, სად მოხდა ეს და რომელი გუნდები გეცილებოდნენ ამ ტიტულის მოპოვებაში?***

– ეს მოხდა რუსეთის ქალაქ კალინინგრადში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ჩვენ ვეთამაშეთ ჩეხეთის, ბელგიისა და პორტუგალიის საკმაოდ ძლიერ გუნდებს, თუმცა ჩვენ მაინც შევძელით ჩვენი სიტყვის თქმა და მათი აშკარა უპირატესობით დამარცხება.

***–ის შედეგები თუ გახსოვს?***

– როგორ არა, პირველ შეხვედრაში დიდი და „მშრალი“ ანგარიშით 76:0 დავამარცხეთ ჩეხეთის, მეორე თამაშში ბელგიის (37:3) და ფინალში პორტუგალიის გუნდები (27:0), გავხდით შესაბამისი თასისა და ოქროს მედლების მფლობელები.

***– ხელი სად იტკინე, ევროპის ჩემპიონატზე თუ შემდეგ?***

– ეს ევროპის ჩემპიონატის შემდეგ საქართველოს პირველობაზე შემემთხვა და დროებით გამოვეთიშე I ლიგის თამაშებს, რომლის დასრულებამდე დიდი დრო აღარც იყო დარჩენილი.

***– რას გეუბნებიან ექიმები, დიდი დრო დასჭირდება მკურნალობას და სარეაბილიტაციო კურსის გავლას?***

– თითის დაზიანების გამო ხელში წარმომექმნა დაჩირქება, რასაც ქირურგიული ჩარევა და ოპერაცია დასჭირდა. მკურნალობას და რეაბილიტაციის გავლას ალბათ ორ თვემდე – ალბათ შობა-ახალ წლამდე დრო დასჭირდება. ვნახოთ როგორ წავა საქმე, ყველაფერი ღმერთზე და ექიმებზეა დამოკიდებული.

***– „ვეფხვებში“ ალბათ გაისად დაბრუნდები, არა?***

– კი, მომავალი წლიდან ნამდვილად დავბრუნდები, მაგრამ თამაშებზე ჯერ არ ვიცი.

***– რას ნიშნავს შენთვის საგარეჯო?***

– საგარეჯო ის ადგილია, სადაც დავიბადე, გავიზარდე, ფეხი ავიდგი ცხოვრებაში და სპორტში, მყავს დედ-მამა, და-ძმა, პაპა-ბებიები, ნათესავები, მეგობარ-ახლობლები; აქ განისვენებენ ჩემი წინაპრები, მივიღე ზოგადი განათლება და სხვა მრავალი, რაც საკმაო მიზეზია, რომ ძალიან მიყვარდეს იგი.

***– ზოგადი განათლება ახსენე და მოდი ბარემ ისიც გაგვიმხილე, სად აგრძელებ სწავლას და ევროპის ჩემპიონობასთან ერთად გაახარე შენი მშობლები და ახლობელ-ნათესავები.***

– ეს ერთი წელია გავხდი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტი, რომლის დამაარსებელი, როგორც მოგეხსენებათ, არის წარმოშობით პატარძეულელი ბიზნესმენი გიორგი (გია) კავთელიშვილი. იმის გარდა, რომ სპონსორობს „ვეფხვებს“, ასევე სწავლის გადასახადისაგან გვათავისუფლებს „ვეფხვებიდან“ ჩარიცხულ სტუდენტებს.

***– რა არის შენი ჰობი?***

– ჩემი ჰობია ცურვა, მიზანი კი მაღალ დონეზე თამაში.

***– მისაბაძი ბორჯღალოსანი...***

– მამუკა გორგოძე.

***– ვხვდებოდი, რომ ქართველ მორაგბეს დამისახელებდი. ჩვენი ბორჯღალოსნები ხომ ისინი არიან, ვინც საქართველოში რაგბის შედარებით მოგვიანებით განვითარების მიუხედავად, თავისი შემართებით და ბრძოლისუნარიანობით ანცვიფრებდნენ და ანცვიფრებენ თვით ისეთ ქვეყნებსაც კი, სადაც რაგბის ისტორია საუკუნენახევრს ითვლის. შენ კი გისურვებ მალე გამოჯანმრთელებასა და საყვარელ სპორტში დაბრუნებას. წარმატებებს სწავლასა და პირად ცხოვრებაში. 18 წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონობით შენ უკვე გაქვს გაკეთებული სერიოზული განაცხადი და გისურვებ დიდების ასაკში გადასულს ამ ტიტულისთვის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც შეგემატებინოს.***

***ესაუბრა***

*გივი დაბახიშვილი*

# წარმატებული გარეჯელი სპორტსმენები

## მიხა ქურხულის შთამომავალი დიდი პაპის გენებით



**ბიბი ქურხული ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ თავისუფალი სტილის ჭიდაობის წრის აღზრდილი და გარეჯული ჭიდაობის ბერმუხის მიხა ქურხულის შთამომავალი ფალავანი, რომლის მიერ სპოტულ სარბიელზე მოპოვებული წარმატებების შესახებ არაერთი ინფორმაცია მიგვიწოდებია ჩვენი მკითხველისა და გარეჯული ჭიდაობის გულშემატკივრებისათვის, ნელ-ნელა მიიწევს სპორტული ოლიმპოსაკენ და უკვე მტკიცედ დაიკავა სათანადო ადგილი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. ერთი სიტყვით, მისი სახით საქართველოს ეზრდება და ჰყავს ერთ-ერთი საიმედო და ანგარიშგასაწევი ფალავანი. გიგი ქურხულისათვის წარმატებული აღმოჩნდა მიმდინარე ოქტომბერ-ნოემბრის თვეები. 15 ოქტომბერს უკრაინაში, ქ. კილონიაში იგი გახდა აქ გამართული დიდი საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი 65 კგ წონით კატეგორიაში, სადაც დაამარცხა სამი უკრაინელი, ნახევარფინალში ბელორუსიის, ფინალში კი მოლდოვას წარმომადგენელი. ამით მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი შესაძლებლობები და განამტკიცა მასზე ქართული ჭიდაობის გულშემატკივართა იმედები.**

**უკრაინაში მიღწეული ამ წარმატების მისალოცად და ინფორმაციის ასაღებად გიგის მაშინ შევხვდი, როცა იგი საგარეჯოელ მწვრთნელ დავით ბაბუნიძის ხელმძღვანელობით, ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ სხვა აღსაზრდელებთან ერთად წვრთნას საგარეჯოს ცენტრალურ მოედანზე გადიოდა. ამიტომ მასთან შეხვედრა სხვა დღისთვის გადავდეთ.**

**ძალზედ გამიკვირდა, როცა ამ შეხვედრიდან რამოდენიმე დღეში, 13 ნოემბერს, რედაქციაში უზარმაზარი ჩანთით „შეიარაღებული“ გიგი და დათო ბაბუნიძე მომადგნენ, – ქ. გორში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნუგზარ სხიერელის ხსოვნისადმი მიძღვნილ პირველ მემორიალურ ტურნირზე მივდივართ, რომელიც სამ დღეს ჩატარდება. ამ ცოტა ხანში კოვიდზე ტესტირებას გავივლით და გავემგზავრებითო, მანამდე კი თქვენს სამსახურში გვიგულეთო, ამიხსნა გიგის მწვრთნელმა. სხვა რა გზა იყო, შევეცადე ეს „შემჭიდროვებული“ დრო რაციონალურად გამომეყენებინა და გიგისთან ერთად გაგვეხსენებინა მისი ცხოვრებისა და სპორტული მიღწევების ძირითადი მომენტები. გიგი დაიბადა 2003 წელს საგარეჯოში, ე.წ. „ფორეს უბანში“. მამა გელა ქურხული ოჯახურ ბიზნესშია, დედა – ნანა კონიაშვილი – საგარეჯოს მესამე საჯარო სკოლის უნარშეზღუდული ბავშვების პედაგოგია. თავად გიგისაც ქალაქის ეს სკოლა აქვს დამთავრებული. რაც შეეხება ჭიდაობას, პირველად 2011 წელს შეაღო საგარეჯოს საკუთრების დაცვის პოლიციის შენობაში არსებული საჭიდაო დარბაზის კარი, სადაც მწვრთნელებთან – დათო ბაბუნიძესა და რამაზ ასაბაშვილთან ერთად დახვდნენ სახელოვანი გარეჯელი მოჭიდავეები მსოფლიო, ევროპისა თუ სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობის ჩემპიონები და პრიზიორები დავით ხუციშვილი, ზურა ერბოწონაშვილი და სხვები, რომელთა მაგალითი კიდევ ერთი დიდი სტიმული იყო ჭიდაობისთვის მონატრებული 8 წლის ბიჭისათვის, რომლის ძარღვებშიც მიხა ქურხულის გენებს გაეღვიძათ.**

**2018 წელი პირველი დიდი წარმატების წელი გახდა გიგისთვის – გახდა საქართველოს ჩემპიონი 15 წლამდელებს შორის გურჯაანში გამართულ რესპუბლიკურ ტურნირზე, სადაც დაამარცხა 5 მეტოქე.**

**2020 წელი. გიგი კვლავ ხდება საქართველოს ჩემპიონი 65 კგ წონით კატეგორიაში ამჯერად 18 წლამდელთა ასაკში. ეს ჩემპიონატი ხაშურში გაიმართა და როგორც გურჯაანში, გიგიმ შეძლო ხუთი მოწინააღმდეგის, მათ შორის ფინალში, ასევე, საგარეჯოელი, თავისი ამხანაგის დამარცხება.**

***– როდიდან ხარ საქართველოს თავისუფალ სტილის მოჭიდავეთა ნაკრებში და ვინ არიან შენი მწვრთნელები?*** (დროის სიმცირის გამო, რაც შეიძლება ლაკონურ კითხვებს ვუსვამ გიგის).

– საქართველოს ნაკრებში 2016 წლიდან ვარ. პირველი ჩემი მწვრთნელი კახა დობორჯგინიძე იყო, ახლა კი ახალგაზრდულ ნაკრებში – ბერდია გავაშელიშვილია.

***– რად „მოგხვდება“ შენ მიხა ქურხული, უბრალოდ მისი მოგვარე ხარ თუ ახლო ნათესავი?***

– მიხა ქურხული ჩემი დიდი პაპა – პაპის პაპა იყო.

***– არ ეტყობა, რომ მას მიხა ქურხულის გენები აქვს თანდაყოლილი, მასავით ნიჭიერი, ალალმართალი და მოწადინებული მოჭიდავეა, – სიტყვას გვაშველებს დათო ბაბუნიძე.***

***– ამ ქვეყნიდან მიხა ამ ცხოვრებაზე ცოტა იმედგაცრუებული წავიდა, მთელი ჩემი სიცოცხლე ჭიდაობას შევალიე და ამ დროს სხვებმა ცხოვრება აიწყესო. სკოლის დამთავრების შემდეგ თუ გააგრძელე სადმე სწავლა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ჩვენი თანამედროვეობა...***

– არა, ჯერ უმაღლესი განათლების მიღებაზე არ მიფიქრია, ჯერ მინდა ვიჭიდაო და მერე ალბათ ამისთვისაც გამოვნახავ დროს.

***– უშუალო წინაპრის მიხა ქურხულის გარდა, ვინ არიან შენი მისაბაძი ფალავნები, ქართველ თუ სხვა ფალავნებს შორის?***

– ახლანდელი დროიდან თავისუფალ ჭიდაობაში ასეთია ვლადიმერ ხინჩაგაშვილი, ცოტა ადრინდელი დროიდან, რა თქმა უნდა, მსოფლიოს ხუთგზის და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ჩვენი საგარეჯოელი თანამემამულე ლევან თედიაშვილი და ყოფილი სსრკ 17 გზის, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი, ლეგენდარული გიორგიწმინდელი მოჭიდავე არსენ მეკოკიშვილი.

***– ჰოდა, გისურვებ, რომ მათზე მეტი იყო თუ არა, არანაკლები წარმატებები მოგეპოვებინოს შენს სპორტულ სარბიელზე, – გზადაგზა ვაწევ თავისი ჩანთით უკვე კარის ზღურბლს გაცილებულს. აბა, შენ იცი, სახელოვანი დაგვიბრუნდი საგარეჯოში გორიდან.***

***P.S. 14 ნოემბერს დამთავრდა თავისუფალ ჭიდაობაში ნუგზარ სხიერელის ხსოვნის მემორიალიც, რომელშიც გიგი 65 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა და ფინალში მოულოდნელი მარცხის გამო მეორე ადგილზე აღმოჩნდა. არა უშავს, ასეთ წარმომადგენლობით შეჯიბრებაში ვერცხლის მედლის მოპოვებაც საპატიო ჯილდოა. სამაგიეროდ, იმარჯვა მემორიალში მონაწილე მეორე ჩვენებურმა ფალავანმა დავით კუჭუაშვილმა, რომელმაც თავის წონით კატეგორიაში ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი მოიპოვა. ისე, რომ თუ უკაინაში გიგიმ მოიპოვა ჩემპიონობა და დათომ ვერცხლის მედალი, გორში პირიქით მოხდა. ამავე მემორიალში ვერცხლის მედალი ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ კიდევ ერთმა ფალავანმა ზირუზ ქვლივიძემ მოიპოვა. თორნიკე ასაბაშვილი კი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. ყველა მათგანი (რა თქმა უნდა სხვებიც) ის ფალავნები არიან, ვისაც სადღეისოდ მუნიციპალიტეტში თავისუფალი ჭიდაობა მიჰყავთ.***

***– წარმატებებს ვუსურვებთ ჭიდაობის გარეჯული ბერმუხის შთამომავალსა და მის თანაგუნდელებს მომავალშიც.***

*გივი დაბახიშვილი*

## ქართული ჭიდაობა

**ბოლო პერიოდში ქართულ ჭიდაობას განსაკუთრებული ყურადღება დაუბრუნდა. იყო დრო, როცა ძიუდომ ქართული ხალიჩა ტატამით შეცვალა და მომავალი მოჭიდავეები ქართული ჭიდაობიდან ძიუდოს ილეთების შესწავლაზე გადავიდნენ.**

**დრომ ისიც აჩვენა, რომ საგარეჯომ ბევრი ბეჭდაუდებელი ფალავანი მისცა ქართული ჭიდაობის მატიანეს. ასეა ახლაც, ჩვენი მოჭიდავეები არ თმობენ მამა-პაპათაგან დაპყრობილ ჩემპიონობას.**

### გარეჯელები – კახეთის რეგიონული პირველობის გუნდური ჩემპიონები

**ნოემბრის** ბოლოს გურჯაანში ჩატარდა კახეთის რეგიონული გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მხარის სხვა მუნიციპალიტეტის მოჭიდავეებთან ერთად მონაწილეობდა ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ მოჭიდავეთა ნაკრები 7 მოჭიდავის შემადგენლობით. საჭიდაო არენაზე გასულმა ოთარ ოდიკაძემ (38კგ), ილია ჯაფოშვილმა (42კგ), ვახტანგ ჭიაბერაშვილმა (46კგ), ლუკა დარისპანაშვილმა (50კგ), ვლადიმერ მაჩურიძემ (55კგ) და გიორგი მეკოკიშვილმა (60კგ) ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ არ შეერცხვინათ ჭიდაობის გარეჯული ტრადიციები და დამსახურებულად დაეუფლნენ დაწესებულ რეგიონულ თასს, რომელმაც ამიერიდან ბინა საგარეჯოს სპორტგაერთიანებაში დაიდო.

### ფცაში, კახეთის ნაკრების შემადგენლობაში

**5 დეკემბერს** ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ფცაში ჩატარდა დურმიშხან ბერუაშვილის სახელობის ტრადიციული ტურნირი ქართულ ჭიდაობაში 2004-2005 წლებში დაბადებულ მოჭიდავეთა შორის. კახეთის ნაკრების ღირსებას საგარეჯოელი ფალავნებიც იცავდნენ. 73 კგ წონით კატეგორიაში ვიცე-ჩემპიონი გახდა გიორგი დურიშვილი, სანდრო სონიშვილი კი უძლიერესი აღმოჩნდა 81+კგ წონით კატეგორიაში და შესაბამისი ოქროს მედლით დაუბრუნდა საგარეჯოს.

### ირაკლი კუპატაძე ტრადიციას არ ღალატობს

**ქართული** ძიუდოს და მუნიციპალიტეტის გულშემატკივრები უკვე შეეჩვივნენ იმ წარმატებებს, რასაც მანაველი სამბისტი და ძიუდოისტი, სხვადასხვა უმაღლესი რანგის შეჯიბრებების ჩემპიონი და პრიზიორი **ირაკლი კუპატაძე** აღწევს თავის ჩვეულ 60 კგ წონით კატეგორიაში. ჩვენებურმა ფალავანმა არც 19-21 ნოემბერს ძიუდოში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში (დიდებში) უღალატა ტრადიციას, კვლავ 60 კგ წონით კატეგორიაში იასპარეზა და შეძლო III საპრიზო ადგილისა და ბრინჯაოს მედლის მოპოვება.

### ლევან ბიგანიშვილის ხსოვნის რესპუბლიკურ ტურნირზე

**4-5 დეკემბერს** თბილისში ჩატარდა ლევან ბიგანიშვილის ხსოვნის რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში 2007-2008-2009 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის. ტურნირში მონაწილე ა(ა)იპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ ძიუდოისტებმა შეჯიბრების I დღეს 2007-2008 წლებში დაბადებულთა ჯგუფში შეძლეს ერთი პირველი, ორი მეორე და 2 მესამე ადგილის დაკავება.

ასპარეზობის ჩემპიონი გარეჯლი ფალავნებიდან გახდა საქართვლოს წლევანდელი ჩემპიონი **ვლადიმერ (ლადო) მაჩურიძე**, რომელიც 55 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. მეორე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: საბა ოდიკაძე (34კგ), და მისი ძმა ოთარ ოდიკაძე (38კგ). მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს **ვახტანგ ჭიაბერაშვილმა** (46კგ) და **ლერი ილურიძემ** (მძიმე წონა).

5 დეკემბერს გამართულ შეჯიბრებაში 2009 წელს დაბადებულთა ასაკობრივ ჯგუფში საგარეჯოელმა ფალავნებმა მხოლოდ ერთი III ადგილი მოიპოვეს, რომელიც 34 კგ წონით კატეგორიაში **ალეკო ბეჟიაშვილმა** დაისაკუთრა.

*გივი დაბახიშვილი*

## გარეჯელი ძიუდოისტი გოგონების „მოქნილი გზა“...

**შარშან** „გარეჯის მაცნეში“ საგარეჯოში ქალთა ძიუდოს ფუძემდებლის ლუდმილა ფერაძის შესახებ ვწერდით, რომ მან გარეჯელი გოგონები არა მარტო აზიარა ძიუდოს, არამედ ფართო საერთაშორისო ასპარეზზეც გაიყვანაო. ოღონდაც! მისი მცდელობით ძიუდოში ვარჯიშის დაწყებიდან (2014 წლის 4 თებერვალი) განვლილ 7 წელიწადში საგარეჯოში არაერთი წარმატებული ძიუდოისტი გოგონა აღიზარდა და თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ მუნიციპალიტეტში უკვე გვაქვს შექმნილი გოგონათა ძიუდოს გარეჯული სკოლა, თავისი ტრადიციებითა და მიღწევებით.



გარეჯელი ძიუდოისტი გოგონების წინ ახალი პერსპექტივები გადაიშალა მიმდინარე წლის დასაწყისიდან – საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის დავით ქევხიშვილის ინიცირებული პროექტით „მომავალი ძიუდო – მოქნილი გზა წარმატებისაკენ“, რომელიც ქვეყნის რეგიონებში ქალთა ძიუდოს შემდგომ პოპულარიზაციას და მომავალი ოლიმპიური შეჯიბრებისათვის ქალი სპორტსმენების მომზადებას ემსახურება.

21 ნოემბერს თბილისში ჩატარდა სარეიტინგო შეჯიბრება 18 წლამდელ (2001-2004წწ დაბადებულ) გოგონებში, რომელშიც ჩვენი გარეჯელი ძიუდოისტებიც მონაწილეობდნენ. აქ **ლუდა ფერაძის** აღზრდილთაგან 48 კგ წონით კატეგორიაში მოჭიდავე **ლალი ხოსიტაშვილმა** ვერცხლის მედალი, **მარიამ ლაფაჩიშვილმა** (52კგ) და **ნინი ლოლაძემ** (57კგ) ოქროს მედლები მოიპოვეს. ამ შედეგებით **მარიამ ლაფაჩიშვილი** და **ნინი ლოლაძე** მოხვდნენ მომავალი, პარიზის 2024 წლის ოლიმპიური თამაშების კანდიდატთა ათეულში და ახლა წვრთნებს საქართველოს ძიუდოს დიდების ნაკრების შემადგენლობაში გადიან, მომავალში კი სავარაუდოდ ბრაზილიაში ან სხვა ქვეყანაში გაივლიან მომზადებას.

ამა წლის 4 დეკემბერს ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ ძიუდოისტმა გოგონებმა თბილისში გამართულ ლევან ბიგანიშვილის ხსოვნის რესპუბლიკურ ტურნირშიც მოასწრეს ასპარეზობა და საკმაოდ წარმატებულადაც. აქ ასპარეზობის ჩემპიონები გახდნენ **თამარ სუხიაშვილი (52კგ) და მარიამ ხოსიტაშვილი (57კგ)**. **მარიამ ოთინაშვილი** ბრინჯაოს პრიზიორი გახდა 40კგ წონით კატეგორიაში.

სულ ასე „მოქნილი გზით“ გევლოთ მომავალშიც ახალ-ახალი წარმატებებისაკენ.

*გივი დაბახიშვილი*

# წარმატებული გარეჯელი სპორტსმენები

## „იაგუარის“ მოჩხუბრები სტამბოლის რინგზე



**კიკბოქსინგის** კლუბ „იაგუარის“ სახელი კარგა ხანია ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. კლუბი 2014 წელს დაარსა კიკბოქსინგში აზერბაიჯანის შვიდგზის, ბაქოს ხუთგზის და საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის ჩემპიონმა, ჩვენმა წიწმატიანელმა (დუზაგრამის თემი) თანამოქალაქემ **იბრაგიმ მამედოვმა**. ჩვენი გაზეთის მკითხველმა ალბათ იცის, რომ კლუბში მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანელი ახალგაზრდობა ვარჯიშობს და იმ 7 წელიწადში, რაც იგი არსებობს, იბრაგიმ მამედოვმა შეძლო სპორტის ამ სახეობაში არა მარტო საქართველოსა და საერთაშორისო ასპარეზობათა ჩემპიონების, არამედ მსოფლიო ჩემპიონების აღზრდა. ამ კლუბში აიდგა ფეხი და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულით საქართველოს სახელით დღემდე ასპარეზობს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მრავალი საერთაშორისო შეჯიბრების ჩემპიონი **ელვინ ქაზუმოვი**, 19 წლის **ფეიმან გაჯიევი** ორგზის საქართველოს, ცხრა საერთაშორისო შეჯიბრების და მსოფლიო ჩემპიონია, **ელმარ ჯიკიროვს** ოთხჯერ აქვს მოგებული საერთაშორისო შეჯიბრებები, **საბირ იოლჩიევს** – ორჯერ, **ელვინ ჯივიროვს** – სამჯერ. **სამად ჯეირანოვი** და **რახმან გაჯიევი** კი ახლა იწყებენ დიდ რინგზე „ადაპტირებას“ და ჯეჯერობით საქართველოს ჩემპიონები არიან.

ამ სტრიქონების ავტორსა და ალბათ ბევრ სხვასაც კარგად ახსოვს იბრაგიმ მამედოვის მიერ 2019 წლის აგვისტოში საგარეჯოში ორგანიზებული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველ მოჩხუბრებთან ერთად გამოდიოდნენ თურქი, გერმანელი, რუსი, ირანელი, აზერბაიჯანელი, უზბეკი, თურქმენი და სხვა სპორტსმენები. აქ ჩემპიონები გახდნენ ზემოხსენებული მსოფლიო ჩემპიონები **ელვინ ქაზუმოვი და ფეიმან გაჯიევი.** პირველმა მათგანმა ირანელი მოწინააღმდეგე სამ რაუნდში დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა, ფეიმან გაჯიევმა კი პირველივე რაუნდში ნოკაუტით დააგდო თურქმენი მოწინააღმდეგე. ამის შემდეგ იყო მიღწევები საქართველოს, ბაქოს, თურქეთის და სხვა საერთაშორისო ტურნირებზე.




ელვინ ქაზუმოვისა და ფეიმან გაჯიევისათვის ახალ გამოწვევად იქცა 20 ნოემბერს თურქეთში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც სტამბოლში ჩატარდა.ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ უკრაინის, ბელორუსის, ირანის, ავღანეთის, საფრანგეთის, ერაყის, თუქმენეთის, აზერბაიჯანის და სხვა – სულ 18 ქვეყნის კიკბოქსინგის ოსტატები. საქართველოს სახელით კი ელვინი და ფეიმინი მონაწილეობდნენ. სამწუხაროდ, ელვინ ქაზუმოვს არ გაუმართლა ირანელ მოწინააღმდეგესთან, მაგრამ სამაგიეროდ ფეიმან გაჯიევმა იმარჯვა ავღანელ მოწინააღმდეგესთან, შეძლო მისი IV რაუნდში ქულებით დამარცხება და ჩემპიონის ტიტულთან ერთად შესაბამისი თასის მოპოვება.

მომავალი 2022 წლის 28 იანვარს, იგივე თურქეთის ქალაქ სტამბოლში უნდა გაიმართოს მსოფლიო ჩემპიონატი კიკბოქსინგში, რომელსაც დაესწრებიან მსოფლიო ჩემპიონები და კრივის ლეგენდა მაიკლ ტაისონი, ბეტრი ჰარი და ჯოხან თაგი. ელვინ ქაზუმოვის, ფეიმან გაჯიევისა და მათი მწვრთნელის იბრაგიმ მამედოვის დიდი სურვილია არ გამოტოვონ და დაესწრონ ამ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას. რა თქმა უნდა, ამ ასპარეზობაში ისინი წმინდა სპორტული ინტერესითაც მიდიან და იმედია გაისადაც სასახელო შედეგებით დაგვიბრუნდებიან სტამბოლიდან საგარეჯოში.

*გივი დაბახიშვილი*

### გზა ახალგაზრდა გარეჯლი ფეხბურთლისა

## წინ ბევრი, ახალი პერსპექტივებია

### ჯერ „დინამოს“ აკადემია და შემდეგში... საქართველოს ნაკრები

**გიორგი ბედიაშვილის, როგორც „გარეჯის“ პატარების გუნდის წარმატებული დამწყები ფეხბურთელისა და მეკარის შესახებ პირველი ინფორმაცია მისმა პირველმა მწვრთნელმა დავით მაისურაძემ ამ რამდენიმე წლის წინ მოგვაწოდა. მისგანვე შევიტყვეთ გიორგის კახეთის ნოდარ ახალკაცის სახელობის ფეხბურთის აკადემიაში ჩარიცხვის შესახებ, რაზედაც „გარეჯის მაცნეს“ მეშვეობით სათანადო ინფორმაცია მივაწოდეთ გარეჯული ფეხბურთის ბედით დაინტერესებულ მკითხველს და გულშემატკივრებს. იმ დღიდან სულ რამდენიმე წელი თუ გავიდა და ჩვენებური ფეხბურთელი სადღეისოდ უკვე „დინამოს“ ფეხბურთის აკადემიისა და საქართველოს 17 წლამდელთა ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშეა. თუ როგორი იყო ამ წარმატებამდე მიმავალი გზა, ამას გიორგისთან ქვემოთმოტანილი ინტერვიუდან შეიტყობთ.**

***– კახეთის ფეხბურთის აკადემიაში შენი ჩარიცხვის შესახებ თავის დროზე ჩვენს გაზეთში პირადად მაქვს მომზადებული სათანადო სტატია, მაგრამ მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, თუ როგორ მოხდა შენს სპორტულ ცხოვრებაში ეს პირველი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საფუძვლად დაედო შენს შემდგომ წარმატებებს...***

– ყველაფერი დაიწყო იქიდან, რომ კახეთის ნაკრების შემადგენლობაში ვარჯიშებს გავდიოდით ყვარელში. იმ დროს ნაკრებს წვრთნიდა გიორგი ნუსხელიძე და ვიყავი 12 წლის, როცა 2017 წლის თებერვალში ჩავირიცხე კახეთის ფეხბურთის აკადემიაში (ნოდარ ახალკაცის სახელობის ფეხბურთის აკადემია), სადაც მომიწია ორ წელს ყოფნა.



***– აკადემიის ფეხბურთელებს მატჩებიც გექნებოდათ...***

– კი, გვქონდა და ვერცხლის ლიგაზე პირველი ადგილი დავიკავეთ...

***– თუ არ ვცდები, კახეთის აკადემიის შემდეგ იყავი რუსთავის ფეხბურთის აკადემიაში. როდის მიხვედი სათამაშოდ საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრებში?***

– საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრებში გამომიძახეს მიმდინარე, 2021 წლის 17 აპრილს. ამ ნაკრების მწვრთნელია გიორგი ჩიტაური. ამჟამად ვარ 16 წლის და ჩემი სიმაღლეა 190 სმ. მართალია, არ ვარ ძირითადი მეკარე, მაგრამ მონაწილეობა მივიღე ამ წელს აზერბაიჯანის ნაკრებთან თამაშში, რომელიც მოვიგეთ 2:1 და იგი არის ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელი 2021 წლის მატჩი. ნაკრების წლევანდელი წარმატებებიდან ყველაზე მეტად აღსანიშნავია ის, რომ უნგრეთში გამართული ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოვიპოვეთ მეორე ადგილი და გადავედით „ელიტ-რაუნდში“.

***– საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გარდა, ხარ „დინამოს“ ფეხბურთის აკადემიაში. ამის გამო შეზღუდვები ხომ არ გაქვს სწავლასა და თავისუფალ დროში?***

– ეს ერთი წელია სასწავლებლად კვლავ საგარეჯოს პირველ საჯარო სკოლაში გადმოვედი, მაგრამ იშვიათად ვახერხებ გაკვეთილებზე დასწრებას, რადგან თბილისში „დინამოს“ აკადემიაში, ვარჯიშებზე მიწევს ყოფნა. რაც შეეხება თავისუფალ დროს, შეზღუდულად, მაგრამ მაინც მრჩება და მას ესპანური და ინგლისური ენების შესწავლას ვახმარ. ჩემი ჰობიც წიგნების კითხვა და ფეხბურთში ვარჯიშია.





***– ვინ არიან შენთვის მისაბაძი ფეხბურთელები?***

– ესენი არიან : კრიშტიანო რონალდო, მანუელ ნოიერი და ედერსონ მორაესი.

***– შენ დიდი ქრისტიანი მოწამის, წმინდა გიორგის მოსახელე ხარ, რომლის სახელობის ბევრი სალოცავია საგარეჯოში. რა დამოკიდებულება გაქვს პირადად წმიდა გიორგისა და მისი სახელობის ამ სალოცავების მიმართ? და საერთოდ, რამდენად რელიგიური ხარ?***

– გეთანხმებით, საგარეჯოელებს ბევრი ასეთი სალოცავი გვაქვს. რაც შეეხება ჩემს პირად დამოკიდებულებას ამ სალოცავებისა და წმინდა გიორგის მიმართ, მე გამორჩეულად მიყვარს და თაყვანს ვცემ ჩემს დიდ მოსახელე წმინდანს. ეს განსაკუთრებული დამოკიდებულება გამოწვეულია იმის გამოც, რომ სანამ მე დავიბადებოდი, მამაჩემის დიდი სურვილი იყო ჰყოლოდა მეორე ბიჭიც და დაარქმევდა გიორგის. ეს ასეც მოხდა და აუსრულდა სურვილი. წმინდა გიორგი ჩემთვის სიძლიერის სიმბოლოა და სულ თან დამაქვს მისი ხატი.

***– „დინამოს“ აკადემიაში შექმნილი საშუამავლო კომპანიისა და მისი მენეჯერის ირაკლი ლილუაშვილის შესახებ რას გვეტყვი. რა ადგილი უჭირავთ მათ შენს საფეხბურთო კარიერის შექმნაში?***

– ირაკლი ლილუაშვილი „ბენე სპორტის“, საშუამავლო კომპანიის მენეჯერია და თვითონ დააარსა ეს კომპანია. იგი გახლავთ ჩემი აგენტი, ანუ შუამავალი სხვადასხვა გუნდებთან და კლუბებთან, როგორც საქართველოში, ისე ევროპის ქვეყნებშიც.

***– ევროპა ევროპად და საგარეჯო მაინც ერთადერთი და გამორჩეულია ამ ქვეყნად ყველა ჭეშმარიტი გარეჯელისათვის...***

– ნამდვილად და ჭეშმარიტად. მე ძალიან მიყვარს ჩემი საგარეჯო და საგარეჯოელები. აქ დავიბადე და აქ გავიზარდე, აქ მყავს მეგობრები, ახლობლები და ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი ჩემი ოჯახი. ჰოდა, ამის შემდეგ გაიკვირვებს ვინმე, თუ რატომ მიყვარს ასე ჩემი მშობლიური ქალაქი.

***– აბა, შენ იცი. წმინდა გიორგის, მთისა და ბარის სალოცავების მეშვეობით მომავალშიც გაგემრავლებინოს შენი წარმატებები, მშობლიური საგარეჯოსა და ქვეყნის სასახელოდ. შენ უკვე გაკეთებული გაქვს სერიოზული განაცხადი ქართულ ფეხბურთში და იმედია, ამ წარმატებებს მომავალში სათანადო გაგრძელება ექნება.***

*გივი დაბახიშვილი*

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში“.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru